კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

ორშაბათი, 17 ნოემბერი, 2003 წელი
№310 (4689)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.


პოზიცია

## თუ ფილოსოფოსთა მამას — არისტოტელეს დაეჯერება...

ჯერ კიდევ დიდი არისტოტელე წერდა (მას კი ნამდვილად დაეჯერება): — „თავში სისხლის ჭარბი რაოდენობის მიწოდებისას ბევრი ინდივიდი ხდება პოეტი, წინასწარმეტყველი და ნათელმხილველი. ამის მაგალითად მარკუს სირაკუზელი შეგვიძლია მოვიყვანოთ, რომელიც საკმაოდ კარგ ლექსებს თხზავდა, როდესაც მანიაკი იყო, გამოჯანმრთელების შემდეგ კი ეს შესაძლებლობა დაკარგა“. იქვე დასძენს: „ისიც ცნობილია, რომ სახელგანთქმული პოეტები, პოლიტიკოსები და მხატვრები, ძირითადად მელანქოლიკები, შეშლილები და მიზანთროპები იყვნენ“.

იხ. მე-4 გვ.


როცა თბილისში სიმშვიდეა.

გიხაროდენ!

## მამების სიხარული მთელ ეზოს მოედო



ქვრივმა ქალმა ორი ვაჟიშვილი „იტალიურ ეზოში“ გავზარდე. ბიჭები ტყუპები არიან და ქორწილიც ერთ დღეს გადავუხადე. ეზოში საქორწილო სუფრის გაშლაშიც მეზობლები მომეშველნენ. რძლები თათია და ნონა სტუდენტები არიან, მაგრამ მახლობლად ერთ-ერთ კაფეს ნამცხვრებითაც ამარაგებენ. თათიამ ერთი თვის წინ თბილისის მე-4 სამშობიარო სახლში იმშობიარა, ბიჭი შეეძინა. ნანამ კი ახლახან, მასაც ბიჭი ჰყავს. ჩემი შვილების სიხარული მთელმა ეზომ გაიზიარა. ეზოში ყველა ერთი ოჯახივითა ვართ. გვაცნობა ორთაჭალიდან დარეჯან კვინიკაძემ.

სიყვარული არ მოშლოდეთ მათ ოჯახებს.


ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.




SIC!

## „სამოქალაქო დაუმორჩილებლობის“ კრიმინალური ასპექტები

**საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ 2 ნოემბერს გაკეთებული არჩევანისადმი რადიკალურად განწყობილი ის ორი ოპოზიციური პარტია („ბურჯანაძე-დემოკრატები“ და „ნაციონალები“), რომელთა ერთკვირიანმა საპროტესტო აქციამაც უკვე მიაყენა ზიანი ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, ახლა „სამოქალაქო დაუმორჩილებლობით“ უთხრის ძირს ქართულ სახელმწიფოებრიობას.**

ძირს უთხრის იმიტომ, რომ უცხოური კაპიტალითა და იდეოლოგიით მოქმედ, ქართული საზოგადოებრიობის დასაფრთხობად მუშტმოღერებული „კმარას“ მსგავსად, არც იმ „სამოქალაქო დაუმორჩილებლობას“ გააჩნია ჭეშმარიტად დემოკრატიული ბუნება, რომელიც, ისევ და ისევ უცხოური იდეოლოგიის წიაღიდან გამოჩხრიკა „ჩვენმა“ რადიკალურმა ოპოზიციამ. კერძოდ, „კმარას“ დამკვალიანებელი აგრესიული მოძღვრების შემქმნელი თუ ჯორჯ შარპი გახლავთ, „სამოქალაქო დაუმორჩილებობის“ იდეის ავტორებად გვევლინებიან ჯონ როულზი, რონალდ დვორკინი, ჰანნა არენდტი, იურგენ ჰაბერმასი და სხვები.

სანამ ამ ცნების არსს განვმარტავდე, აუცილებლად უნდა შევეხო „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს იმ კანონს, რომელიც 1997 წლის 12 ივნისს არის მიღებული, თუმცა, ისეთი წყალ-წყალა შინაარსისაა, გინდ ყოფილა, გინდ არა, მისგან დიდ ხეირს მაინც ვერ ნახავდა ჩვენი საზოგადოებრიობა. სწორედ ამ კანონის დამსახურებაა, რომ მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში შეიძლება პარლამენტის შენობის წინ უკანონო მიტინგი გამართონ პარლამენტის (!) სპიკერმა და სპიკერატის წარმომადგენლებმა, თბილისის მერიაში — თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ და... კანონით (საარჩევნო კოდექსით) დადგენილი პროცედურების დაცვისთვის აკრიტიკონ ცსკო-ს თავმჯდომარე ან, სულაც, ქვეყნის პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვონ მათი უკანონო მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობისთვის.

იხ. მე-2 გვ.

თვალსაწიერი

## ჩემი თავისუფლება იქ მთავრდება, სადაც შენი, სხვისი უფლებების შელახვა იწყება!

**პირველივე დასკვნა, რომელიც 2 ნოემბრის შემდგომი მოვლენების წინასწარი შეჯამებისას უნდა გავაკეთოთ, ის არის, რომ აშკარად ჩანს: ჩვენი საზოგადოება მზად არ აღმოჩნდა დემოკრატიული, დასავლური სტილის არჩევნებისათვის.**

**ისე ლაღად, ისე თამამად, ისე გამჭვირვალედ დაირღვა არჩევნებისათვის აუცილებლი პირობები, რომ თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარით.**

პირველი: — საარჩევნო სიები!

კრიმინალისტები დანაშაულის გამოძიებისას პირველ რიგში სვამენ კითხვას: ვისთვის შეიძლებოდა ეს დანაშაული სასარგელო ყოფილიყო?

ჰოდა, ამ ყბადაღებული სიების ავტორ-შემოქმედთა განჩხრეკისას, მთავარი გზამკვლევი ეს უნდა იყოს: ვისთვის შეიძლებოდა სასარგებლო ყოფილიყო სიების ასე არევ-დარევა, ვის შეიძლებოდა ეს მომენტი გამოეყენებინა საჭიროების შემთხვევაში?

რაღაც შუქი თითქოს უკვე ჩანს „გვირაბის ბოლოს“: ხელისუფლება ნაკლებად უნდა ერიოს ამ დანაშაულში (სხვა სიტყვას ვერ მიუსადაგებ!). განა იმიტომ, რომ ხელისუფლება „არ იკადრებდა“ ამას. უბრალოდ, ეს მის ინტერესებში არ იყო. რა აზრი ჰქონდა მისთვის ხალხის გადარევას და თავის წინააღმდეგ ამხედრებას? სიები ისე აშკარად, ისე თავხედურად და საგანგებოდ იყო არეულ-დარეული, რომ ეს შეუმჩნეველი და თვალსმიფარებული ხომ, არამც და არამც, არ დარჩებოდა.

ჰოდა, თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, სიების წახდენა მხოლოდ მას აინტერესებდა, ვისაც ეს ამბავი ბოლო მომენტში შეიძლება „კოზირად“ გამოეყენებინა.

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სპეციალურად შექმნილი საგამოძიებო ჯგუფი, ალბათ, საგულდაგულოდ გამოიკვლევს ყველაფერს. აქ ცალმხრივობა და ნახევარზომები არ გამოდგება, სასწორის პინაზე უფრო დიდი რამ დევს, ვიდრე უბრალო ყალბისმქმნელობაა.

შემდეგ: საქართველოს სინამდვილისთვის, ჩვენი დღევანდელობისთვის აგრერიგად ნაცნობი და „მახლობელი“ — თვით ხმის მიცემის გაყალბება!

იხ. მე-2 გვ.

ინტერპანორამა

**პარიზის აუქციონზე ზებგერითი სამგზავრო ავიალაინერის „კონკორდის“ ცალკეულ ნაწილებად გაყიდვამ ორგანიზატორებს 3,3 მილიონი ევრო მოუტანა. ვაჭრობაზე 220 ლოტი იყო გამოტანილი. მაგალითად, თვითმფრინავის ცხვირი, რომლის საწყისი ფასიც 15 ათასი ევრო იყო, 480 ათას ევროდ გაიყიდა.**



**ოფიციალურად გამოცხადდა, რომ სტამბოლში მომხდარი ტერაქტების შედეგად 23 კაცი დაიღუპა. ზოგიერთი დაღუპული უკვე ამოიცნეს. დანარჩენთა ამოცნობა გრძელდება.**



**მოსულში პარტიზანების მიერ ჩამოგდებული შვეულმფრენი მეორე შვეულმფრენს შეეჯახა. 17 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, 5 დაშავდა და ერთი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. უკანასკნელ თვეში ეს უკვე მესამე ასეთი ავარიაა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

თვალსაწიერი

# ჩემი თავისუფლება იქ მთავრდება, სადაც შენი, სხვისი უფლებების შელახვა იწყება!

(პირველი გვერდიდან)

როგორც თანდათან ვკვალინდებით, მამაძაღლობდა თითქმის ყველა პარტია („თითქმისში" ის პარტიები მაქვს მხედველობაში, რომლებსაც გამარჯვების იმედი თუ არა, პრეტენზია მაინც ჰქონდათ): იყო საარჩევნო უბნებში შევარდნა, ურნების გატაცება, ბიულეტენების დასტად ჩაყრა და ა. შ.

ერთი სიტყვით, არც ხელისუფლებას, არც ოპოზიციას, და არც მთელ საზოგადოებას არ ეყო ძალა ყოველმხრივ უნაკლო არჩევნების ჩასატარებლად.

ვერც ჩაატარებდნენ!

იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოება არ არის ის სხეული, სადაც ხელისუფლება და ოპოზიცია ერთი მთელის ორი შემადგენელი ნაწილია, როგორც ნორმალურ საზოგადოებაშია ხოლმე.

ჩვენთან ერთი კი არა, იმდენი საზოგადოებაა, რამდენი პარტიაც არის, ოპოზიცია ხელისუფლების მოსასპობად აჯაგრული მტრული ბანაკია.

და სანამ ასე იქნება, არჩევნებიც ასევე წარიმართება — მოგება ყველა საშუალებით!

ერთი სიტყვით, დღეს ჩვენი ლოზუნგი „მამული, ენა, სარწმუნოება" კი აღარ არის, არამედ ნაცადი იეზუიტური მაქსიმა: „მიზანი ამართლებს საშუალებას", რასაც ყოველდღიურად ნაცარივით გვაყრის თვალში ნაყიდი პრესა და ტელევიზია.

რაკი მიზანი ამართლებს საშუალებას, ამიტომ, რასაც არჩევნებით, ვერ მივაღწიეთ, ძალადობით მივაღწიოთ — დავამხოთ ხელისუფლება!

და რუსთაველის პროსპექტი, ისევე, როგორც 12 წლის წინათ, „რევოლუციის" არენად იქცა, ოპოზიცია კვლავ აღდგა ქვეყნის კანონიერი ხელისუფლების დასამხობად.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: რა ხვითოც მაშინ, 12 წლის წინათ, დავიჭირეთ, იმ ხვითოს დავიჭერთ ახლაც (სხვათა შორის, ბევრისთვის მოულოდნელად, დაახლოებით ასეთი, სწორი მოქალაქეობრივი პოზიცია გამოხატა ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მეუღლემ მანანა არჩვაძემ ტელევიზიით გამოსვლისას)!

ღმერთმა არ ქნას, იგივე განმეორდეს!

არადა, ყველაფერი აქეთკენ რომ მიდის?

ხელისუფლების მეტისმეტი სიფრთხილე, ანუ ფაქტობრივი ლმობიერება (არ მინდა ვთქვა, უნიათობა-მეთქი!) და ოპოზიციის ულტრარადიკალიზმი აშკარად აქეთკენ რომ ექაჩება ქვეყანას?

ოპოზიცია ქუჩაში გამოვიდა და სკამების დასაუფლებლად იბრძვის, ცდილობს ძალით წაღლიტოს ხელისუფლებას ის, რაც არჩევნებით ვერ გამოგლიჯა.

მრავალათასიანი მიტინგი ყოვლად უექსცესოდ, მშვიდობიანად ჩავატარეთო, სიამაყესთან ერთად გაკვირვებასაც ვერ მალავენ.

ეს ოპოზიციის ლიდერთა დამსახურება როდია.

ჯერ ერთი, ხელისუფლება მოიქცა უაღრესად ფრთხილად, რათა რამე არ მომხდარიყო.

მეორეც, მიტინგის მონაწილე საზოგადოებას ესმოდა, რა სამართებლის პირზეც ვიდოდა ქვეყანა.

მაგრამ კოკა ყოველთვის არ მოიტანს წყალს, ერთხელაც იქნება გატყდება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ოპოზიციის ლიდერებს არა აქვთ ამხელა მიტინგების მართვის გამოცდილება. 14 ნოემბერს მშვიდობიანად კი ატარეს ხალხი აქეთ-იქით, ხან — უნივერმაღის კიბეებთან შესაძახებლად, ხან — ცოცხალი ჯაჭვით სახელმწიფო კანცელარიის „ალყაში" მოსაქცევად, ხან — ცესკოს შენობასთან კუნთების შესათამაშებლად. ათასობით კაცი მორჩილად დაჰყვებოდა მათ ბრძანებებს. მაგრამ ხვალ და ზეგაც ასე მშვიდად ჩაივლის ყველაფერი?

ოპოზიციამ ტაქტიკა შეცვალა: მრავალათასიანი მიტინგიდან ეროვნულ დაუმორჩილებლობაზე გადავიდა — ადგილებზე „დაუმორჩილებობის კომიტეტების" შექმნის, ადგილობრივი ხელისუფლების პარალიზების გზას დაადგა.

ეს მოხდება „მშვიდობიანი გზით, ოღონდ უკიდურესი საშუალებებით": სახელისუფლო დაწესებულებების პიკეტირებით, შიმშილობის და მჯდომარე აქციების მოწყობით, გადასახადების გადაუხდელობით, — მშვიდობიანი გზა ეს გახლავთ თურმე.

ყველას აქვს უფლება იშიმშილოს, ყველას აქვს უფლება მოაწყოს მჯდომარე თუ მწოლარე აქცია. მაგრამ ვის აქვს უფლება შეკრას სახელმწიფო დაწესებულებები და ხალხი სამუშაოდ არ შეუშვას, დაადამბლავოს ქვეყანა?!

ჩემი თავისუფლება იქ მთავრდება, სადაც შენი, სხვისი უფლებების შელახვა იწყება!

მაგრამ დღეს უყურებს ვინმე ან ჩემს თავისუფლებას, ან შენს და სხვის უფლებებს?

უყურებს ვინმე იმას, რომ საპრეზიდენტო ვადის გასვლამდე წელინახევრით ადრე პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა არაფრით გამართლებული არ არის და, ესეც არ იყოს, იმდენი გაუთვალისწინებელი და არასასურველი (რომ არ ვთქვათ, დამღუპველი) თანამდევი მოვლენა მოჰყვება, მერე მის გამოსწორებას ათწლეულები დასჭირდება?

რისთვის უნდა წავიდეთ ამ ავანტიურისტულ ექსპერიმენტზე?

იმიტომ, რომ ჩვენს ზოგიერთ სულსწრაფ ჭაბუკ ლიდერს ხვალამდე (ანუ, წელიწადნახევარი) მოცდა არ სურს? ან იქნებ იმიტომ, რომ იმ ხვალ არჩევნებით გამარჯვების იმედი არ აქვს, მით უფრო, რომ ოპოზიციის (ანუ მთელი ოპოზიციის მხოლოდ ერთი მცირე ნაწილის) სამივე ლიდერი ჯერჯერობით ერთად კი დგას, მაგრამ წელიწადნახევარის შემდეგ ვინ იცის, ვინ სად და ვისთან ერთად იდგება?..

**ალეკო ასლანიშვილი.**

SIC!

# „სამოქალაქო დაუმორჩილებლობის" კრიმინალური ასპექტები

(პირველი გვერდიდან)

გარდა ამისა, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონი იცნობს „სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის" მხოლოდ ორ ცნებას — „შეკრებასა" და „მანიფესტაციას", თუმცა, დემოკრატიულ ქვეყნებში, ანალოგიური კანონები, ცალკე გამოყოფს და სამართლებრივად არეგულირებს პროტესტის ისეთ ფორმებს, როგორებიცაა: მიტინგი (განსხვავდება შეკრებისაგან), მჯდომარე აქცია, შიმშილის გამოცხადება და სხვ. ასეთ ვითარებაში, აბა, რა გასაკვირია, რომ იმ საპარლამენტო უმრავლესობას, რომელსაც დღევანდელი ოპოზიციის ლიდერები ედგნენ სათავეში (ერთი ახლაც „უდგას"), მასობრივი პროტესტის გამოხატვის არც ისეთი განსაკუთრებული ფორმის სამართლებრივად დარეგულირება გახსენებოდა, როგორიცაა „სამოქალაქო დაუმორჩილებლობა". თუმცა, დარწმუნებული ვარ, ეს სიტყვათაწყობა არც ახლა გაახსენდებოდათ, იგი იმავე უცხოური იდეოლოგიური ბანაკიდან რომ არ ეკარნახათ, რომელმაც „კმარელები" „დაამშვენა"... მუშტმოღერებული დროშით. მაინც როდის და რა ფორმებით დაიწყება ეს „სამოქალაქო დაუმორჩილებლობა" — აი, კითხვა, რომელსაც დამოკლეს მახვილივით ემუქრება გაურკვევლობის შიშით დაზაფრული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობას.

როდის დაიწყო? უკვე დაიწყო სწორედ მაშინ, როცა „კმარა" გამოჩნდა თბილისის ქუჩებში და ხან ქუჩებს ჯღაბნიდა, ხან — შინაგან საქმეთა სამინისტროს კედლებს ასხურებდა საღებავს, რათა თავისი „ოპოზიციური ძალა" ეჩვენებინა, სახელმწიფოებრივი კი დაემცრო და დაეკნინებინა. დიახ, ეს იყო „სამოქალაქო დაუმორჩილებლობის" დასაწყისი (2 ნოემბრის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე), ასე ვთქვათ, მცირე მასშტაბის რეპეტიცია დიდი „სამოქალაქო შეტევის" წინ, რაც უნდა გამოიხატოს გამგეობებიდან გამგებლების გამოძევებით (თელავში სცადეს კიდეც, და, ალბათ, კვლავაც ეცდებიან), საერთოდ, ისეთი ქმედებებით, რაც გამოიწვევს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების პარალიზებას...

არის თუ არა ამგვარი მოქმედებები ის „სამოქალაქო დაუმორჩილებლობა", რომლის იდეოლოგებსაც ჩემს მიერ ზემოთ ნახსენები უცხოელები წარმოადგენენ? რასაკვირველია, არა, რადგან „სამოქალაქო დაუმორჩილებლობაში" სულ სხვა აზრი დევს, ვიდრე ამას „ჩვენი" ოპოზიციონერები აცხადებენ. ვისაც არ სჯერა, რომ „დემოკრატიით" სურთ კრიმინალური ქმედებების შენიღბვა, აქაოდა, არაძალადობრივი გზით ვეძალავებითო (?!), ვთხოვ, იხილოს ამერიკელი მეცნიერების ჯინ ქოენისა და ენდრიუ არატის ნაშრომი: „სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკური თეორია", (მოსკოვი, 2003 წელი). ამ წიგნში არის სპეციალური თავი (გვ. 726-765), რომელსაც ჰქვია „სამოქალაქო დაუმორჩილებლობა და სამოქალაქო საზოგადოება". მასში მიმოხილულია სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ყველა თეორია (ლიბერალური, დემოკრატიული...), თუმცა, არც ერთ მათგანში არ წერია ის, რაც „დიდ დემოკრატიად" სურთ შემოგვაჩეჩონ „ჩვენმა" ოპოზიციონერებმა.

ზემოხსენებული თეორიებით ახლა თავს არ შეგაწყენთ (ამას არაერთი წერილი დასჭირდება), თუმცა, გაგაცნობთ იმ საერთო დასკვნას, რომელიც სამოქალაქო დაუმორჩილებლობის თეორიათა ყველა მკვლევარს აქვს გაზიარებული: „სამოქალაქო დაუმორჩილებლობა მიზნად ისახავს ზეგავლენის მოხდენას საკანონმდებლობლო უმრავლესობაზე, რათა მათი აზრი გათვალისწინებული იყოს საკანონმდებლო პროცესში" (გვ. 765) და რომ „აუცილებელია სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციათა დეკრიმინალიზაცია" (გვ. 749).

მაშ, რა ფორმით შეიძლება იყოს გამოხატული სამოქალაქო დაუმორჩილებლობა იმ სახელმწიფოს (და არა დამპყრობლის) მიმართ, რომელიც შენი სამშობლოა და გინდა კიდევ უფრო უკეთესი გახდეს? — კითხულობენ ზემოხსენებული ავტორები და უპასუხებენ (755-ე გვერდზე) „მხოლოდ ისეთი ქმედებით, რასაც მორალური და სამართლებრივი საფუძველი აქვს".

აი, ბატონებო, ზოგადად ასეთია „სამოქალაქო დაუმორჩილებლობის" დემოკრატიულ თეორიათა არსი და, გასაკვირია, რომელი „თეორიებით" ხელმძღვანელობენ „ჩვენი" ოპოზიციონერები, როცა ხალხს მოუწოდებენ:

1. „არ გადაიხადონ გადასახადები", თუმცა, არა მგონია, არ იცოდნენ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლით დანაშაულად ითვლება „გადასახადებისთვის თავის არიდება", ხოლო ამ და სხვა, ნებისმიერი დანაშაულის განზრახ ჩადენაზე წამქეზებელი, შესაბამისი დანაშაულის თანამონაწილედ ითვლება ამავე კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.

2. „არ შევუშვებთ გამგებლებს (და სხვა თანამდებობის პირებს) სამუშაო ადგილებზე", ისე აცხადებენ, თითქოს, საბოტაჟი არ იყოს სახელმწიფო ორგანიზაციების, სამსახურების ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლა (ზემოხსენებული კოდექსის 318-ე მუხლი).

ვფიქრობ, რაც მოგახსენეთ, ისიც კმარა (მართლაც კმარა!) იმის საილუსტრაციოდ, რომ ის „არაძალადობრივი" მეთოდები, რითაც „ჩვენი" ოპოზიცია აპირებს „სამოქალაქო დაუმორჩილებლობის" განხორციელებას, არიან არაკანონიერი, ანუ დანაშაულებრივი (კრიმინალური) და მიზნად ისახავს ქართული სახელმწიფოს დასუსტებას, რასაც გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. აღარას ვამბობ იმ დანაშაულზე, რომელიც უკვე ჩაიდინეს, რეაგირება კი არ ჩანს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. ვგულისხმობ შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარების წესის დარღვევას (სსკ-ის 347-ე მუხლი), სავსებით შესაძლებელია დარღვეული იყოს სსკ-ის 319-ე მუხლიც (უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარება) და სხვა, რომელთა საბოლოო მიზანიც, შეიძლება იყოს (ასეც ჩანს!) სსკ-ის 315-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშულის (შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად) ხორცშესხმით ხელისუფლების ხელში ჩაგდება.

აი, ყოველივე ამას „სამოქალაქო დაუმორჩილებლობა" თუ ჰქვია, მაშინ, მართლაც „აფერუმ" დასავლეთელ დემოკრატებსა და მათაც, ვისაც კრიმინალის ჩადენა „არაძალადობა ჰგონია", ქვეყნის დაქცევა კი — „ხალხზე ზრუნვა".

**მიხეილ კამკამიძე.**

კვირა

**რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი**



— რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? — „კვირის" ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს გოგი ჰიჰინაძე.

## ქვეყნისთვის

— გასულ კვირას, მთლიანობაში, როგორც ნეგატიურს, ისე შევაფასებდი, რადგან განვითარებული მოვლენები, ალბათ, საკმაოდ დამთრგუნველად მოქმედებდა ადამიანებზე. პირადად მე კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ დავინახე უზარმაზარი განსხვავება ხალხს, საზოგადოებასა და მასას შორის. გასულ კვირას კიდევ ერთხელ ვირწმუნე, რომ სიმშვიდეზე, სტაბილურობაზე, უსაფრთხოებაზე მნიშვნელოვნი არაფერი არსებობს ქვეყნისთვის. ყველა პოლიტიკურმა ლიდერმა, მათ შორის მათაც, ვისაც არჩევნებში მხარი დავუჭირე, და რაც მთავარია, ხალხმა კარგად უნდა გაიცნობიეროს: არავითარი რევოლუციური იდეები არ ღირს იმად, რომ ქვეყანაში მოისპოს უსაფრთხოების ატმოსფერო. ცვლილებები, — რაოდენ ამაღლებული და კეთილშობილურიც არ უნდა იყოს, არ შეიძლება მოხდეს სისხლის ფასად, ეს არ უნდა იქცეს ჩვევად ჩვენი ქვეყნისთვის. ვფიქრობ, მოვლენათა ასეთი განვითარება დამღუპველად იმოქმედებს საქართველოს რეიტინგზე საერთაშორისო მასშტაბით.

პოლიტიკა არ მიმაჩნია დიდ სიწმინდედ და არც პოლიტიკოსები წმინდანებად, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვიცი, რომ პოლიტიკაშიც არსებობს თამაშის წესები, რომელთა მიხედვით, მოგებას უნდა მიაღწიო პოლიტიკური წესებით და არა ისტერიითა და ძალადობით. ვინც ეს წესები არ იცის, ვინც ემოციებს არის აყოლილი, მას არაფერი ესაქმება პოლიტიკაში. ემოციებზე აყოლა არტისტისთვისაც კი ცუდია, არათუ პოლიტიკოსისთვის, მხოლოდ შიშველ ემოციებზე აყოლა ხელოვნებაშიც კი ცუდ ტონად ითვლება, არათუ პოლიტიკაში.

ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანაში უკეთესი სოციალური ფონის არსებობის პირობებში ხალხი ნაკლებად იქნებოდა პოლიტიზირებული.

## ჩემთვის პირადად

— ვფიქრობ, გასული კვირა ის შემთხვევა იყო, როდესაც ქვეყნისა და მისი ყოველი მოქალაქის უმნიშვნელოვანესი მოვლენები თანხვედრილი იყო. განცდები, დამთრგუნველი ემოციები მეტნაკლებად შემიმსუბუქა ჩემი იაპონელი მენეჯერის ეისკე ფუჯინოს სტუმრობამ. იგი ჭეშმარიტად აღაფრთოვანა საქართველომ, ქართველებმა, ქართულმა კულტურამ და ჩვენი ხალხისთვის სახასიათო ნიჭიერებამ. საინტერესო გეგმებიც დაისახა, რომელთაც ჯერჯერობით საიდუმლოდ დავიტოვებ...

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## სნსკ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

# ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენი

[illegible]







[illegible]

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 310, ორშაბათი, 17 ნოემბერი, 2003 წელი.

პოზიცია

# თუ ფილოსოფოსთა მამას — არისტოტელეს დაეჯერება...

(პირველი გვერდიდან)

ეს იყო ძველ საბერძნეთში და არა მარტო იქ. ცხოვრება წინ მიდის, მაგრამ ფსიქოლოგიური ფაქტორი იგივე რჩება და არისტოტელე მხოლოდ იმიტომაცაა გენიოსთა და ფილოსოფოსთა მამად აღიარებული, რომ მისი ეს გამონათქვამი თუ ცხოვრებისეული დაკვირვებებიდან გამოტანილი დასკვნები, დღესაც ძალაში რჩება.

დიდი პოეტობისა და ხელოვნებით გატაცებისა რა მოგახსენოთ, შესაძლოა, ბავშვობაში ლექსი კი დაუწერიათ, თუნდაც ამის მსგავსი: „ავირჩიოთ მიშა, შეგვიკეთა კრიშა“, ანდაც სხვა, ყუბანეიშვილის მარგალიტების დარი, შესაძლოა, ლიფტის კედლებზეც მიუხატიათ „სიგარეტის ბიჩოკით“ ისარგაყრილი გული, მაგრამ ახლა მათ სხვა გატაცებაზე — „პოლიტიკოსობაზე“ გავამახვილოთ ყურადღება და არა არისტოტელესეულ „მხატვართა და პოეტთა მიზანთროპობასა და შეშლილობაზე“.

„შეშლილი“, თუ ჩვენი პოლიტიკოსები მხოლოდ ჩეზარე ლამბროზოს „ბრბოს ფილოსოფიასა“ და ნიშცეს ზეკაცის ფენომენის კითხვით, ანდაც სოროსისა და ძმათა მათთა შეგონებებით არ იკვებებიან და ნამემამულეებს არ ამუნათებენ, იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ჰგონიათ სწავლამოწყურებულ ქართველებს ეს ჩვენზე უკეთ ეცოდინებათო. თორემ ერთხელ მაინც შეახსენებდნენ ბაზალეთს და აფხაზეთის ტრაგედიას.

იქნებ, არცა სურთ, რომ შეახსენონ.

იქნებ, ახლანდელმა პოლიტიკანებმა ყოველივე კარგად იციან?

მაშ ისიც გეცოდინებათ, რა მოხდა ცივის მთაზე, ანდა როგორ ესწორდებოდა სულმნათი დავითი თავისი უსაყვარლესი ადამიანის — ბალვაშის ასულის მამა-ძმათ?

ისტორია დაგვიწყნიათ, პოლიტიკანებო!

პოლიტიკოსი ჩვეულებრივი მოკვდავივით თავის შეცდომებზე კი არა, სხვათა შეცდომებზე სწავლობს. ამას კი უთუოდ გასწავლიდნენ უცხოეთში. სხვათა, თქვენს წინამორბედთა შეცდომები მრავლად გვაქვს თვალწინ და არცთუ ისე შორეულ წარსულში მომხდარს გახსენებთ. ალბათ, თქვენც გაიხსენებთ, თუ იმ არეულობისა და ომის დროს თბილ ოთახებში არ იყავით გამოკეტილი და ტელევიზორით არ უყურებდით ათასგვარ სერიალებსა და სექსფილმებს.

ახლა ძირითადზე გადავიდეთ.

პარლამენტის წინ გამართულ მიხადგმული ბავშვივით გამართული ნაბიჯებით სიარულისთვის ხელშეწყობას, მაგრამ არა...

ერთ-ერთმა „ლიდერთაგანმა“ სიამაყითა და თვითკმაყოფილებით (არ მსურს არისტოტელესეული შეფასება გავიმეორო პოლიტიკოსებზე) განაცხადა: „ჩვენ მშვიდობიანი აქცია მოვაწყვეთ, წვიმაში ვიდექი ამ მთავრობისგან მოტყუებულ ხალხთან, ნამდვილ ერის შვილებთან და მათთან ერთად ძეხვიც კი მივირთვი“. თურმე რა მომხდარა! აკი ძველი ქართული ნათქვამია: „გაჭირვებამ პატარძალთან დამაწვინაო“.

ქართულ სუფრას ღმერთისა და მშვიდობის სადღეგრძელოთი იწყებენ და შეზარხოშებულნი პოლიტიკაზე საუბრით ამთავრებენ. აქაც ასე იყო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იწყებოდა გაყალბებულ ხმებზე საუბრით და მთავრდებოდა ხელისუფლებისა და პრეზიდენტის ლანძღვითა და მისი გადადგომის მოთხოვნით, სახელმწიფო გადატრიალების მოწოდებით.

სწორედ მაშინ დამებადა ასეთი შეკითხვა: „ვინ არის ხელისუფლება და ვის გადაყენებას აპირებენ?“

განა იმ მიტინგებზე გამომსვლელთა, ანუ „ტკბილმოუბარ ორატორთა“ ოთხმოცდაათი პროცენტი ხელისუფალი არ არის? განა ისინი არ ღებულობდნენ იმ კანონებს, რომლებითაც ქვეყანამ უნდა იცხოვროს? განა მათ არ შექმნეს ასეთი ცხოვრების პირობები? განა ისინი არ აყალბებდნენ ხმებს წინა არჩევნებზე, რათა პარლამენტში მოხვედრილიყვნენ? განა ისინი არ ედგნენ პრეზიდენტს გვერდით მაშინ, როდესაც ახლა „ავადსახსენებელი“ მოქალაქეთა კავშირი შექმნეს და ლიდერებადაც მოგვევლინენ?

ამ კითხვაზე პასუხს მათგან არ ველი. სწორედ ის ხელისუფალნი იბრძვიან სკამებისათვის, ოღონდ ახლა ოპოზიციის ქურქში არიან გახვეულნი. ისე, მღვდელი ჭილოფშიც იცნობა, ოღონდ დაკვირვებაა საჭირო.

არ არსებობს მთავრობა, რომლის კმაყოფილიც ყველა ერთიანად, მთელი ხალხი იყოს, მაგრამ, ამასთან ერთად, არსებობს უზენაესი, — კანონი და ჭეშმარიტება, რასაც უნდა დავემორჩილოთ. ზოგიერთს კონსტიტუციური კანონები თავის თარგზე სურს მოირგოს, ბარბაროსული მეთოდებით იმოქმედოს დემოკრატის მანტიამოსხმულმა. ეს კარგად უწყიან.

ახლა, „საყოველთაო დაუმორჩილებლობისაკენ“ მოგვიწოდებენ. კარგია, ღმერთმანი, — გავაჩეროთ ისედაც დიდი ძალისხმევით ამუშავებული ქარხანა-დაწესებულებები, დავხუროთ სკოლები და საავადმყოფოები, გადავკეტოთ გზები, რკინიგზები, ბლოკირება გავუკეთოთ საზღვაო ნავსადგურებს, გამოვიდეთ ქუჩაში, ვაფრიალოთ დროშები, მომღიმარი სახით მივირთვათ უცხოური წარმოების ძეხვი მომიტინგეებთან ერთად, ვიმღეროთ, ვიცეკვოთ და... ქვეყანაც აშენდება.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსაც გადაათვალიერებენ ხოლმე ხანდახან, სულით ავადმყოფს, გიჟს, ხელსა და გადარეულს ნიშნავს.

თუ რომელიმე დღევანდელმა პოლიტიკოსმა კაცუნამ თავი გაისინონიმა ზემოთ ნათქვამთან, მისი გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება, ხოლო თუ „ვითა ჯორივით“ გაურჩდა და თავისი თავი ვერ დაინახა, მართლაც წასულია მისი და მათი საქმეც, ვინც მათში მესიას, მხსნელსა და ლიდერს ხედავს.

მათ ხელში ჩავარდნილა დღეს საქართველო. ვაი, სირცხვილო!

„ლიდერთა“ უმეტესობას, უცხოეთში განათლებამიღებულობას რომ გვაყვედრიან, დავიწყნიათ არსენ იყალთოელი, პეტრე იბერი, მიხეილ თამარაშვილი და დიდი სამოციანელები, დავიწყნიათ, რადგან ჩვენმა წინაპრებმა უცხო მიწაზე მიღებული განსწავლულობა ფილოსოფიის დონეზე აიყვანეს, ერსა და სამშობლოს სახელი გაუთქვეს, განა მსტოვრობა, მაბეზღარობა, შური, ბოროტება და სამშობლოს ცეცხლითა და მახვილით აღგვა ჩამოუტანიათ ნატანჯ საქართველოში.

დავიწყნიათ-მეთქი, ვთქვი, იქნებ არცა იციან, არც გაუგონიათ, ანდაც არცა სურთ გაიგონ.

მეროჭიკე ბერივით დადიოდა დიდი ტანძიელი ევროპის მეფეთა და მთავართა კარზე. სამშობლოსათვის დახმარებას ითხოვდა. დამცირებას, სხვათა, მასზე მცირეთა ქედმაღლობას ითმენდა, სარწმუნოებაც შეუცვლია, რათა ღვთისმშობლის წილხვედრ მის ქვეყანას, მტერთაგან შემუსვრილსა და დაქუცმაცებულს ევროპელთა დახმარებით რაიმე შვება ეგრძნო.

იტყვიან მავანნი, ახლა რომ მეზობელი ქვეყნების მეთაურთ ედიალოგებიან, რომელი მურვან ყრუ შემოგვესია, ანდა ჯალალედინიო. ისევ ისტორიას მივუბრუნდეთ, მტრობასა და შურს ატორღიალებულ შინაურს არ დავუნდივართ არასოდეს, მათით ვმარცხდებოდით.

ბევრმა უცხოელმა სწავლულმა იცის ჩვენი ისტორია, მაგრამ იქ სასწავლებლად ჩასულ ჩვენს თატინგზეც გახლდით და ფილარმონიის დიდ დარბაზში ომის ვეტერანთა შეხვედრაზეც. რატომ? ორივეგან ჩემი ქართველები იყვნენ, ჩემი სისხლისა და ჯიშის ხალხი და იმიტომ. ორივეგან ვიყავი. რადგან „ჩემში წვეთი არ არის სისხლი არაქართული“ (მომიტევონ ზოგიერთებმა. მე ჩემი ქართველობა მეამაყება, სხვას თავისი ეროვნება უნდა ეამაყებოდეს, ყველა ერთად კი ჩვენი საქართველოს შვილები ვართ და ზოგიერთი პოლიტიკანივით ნუ ჩამოვაგდებთ შუღლს ერთა შორის) და სწორედ ამიტომ ორივეგან უნდა ვყოფილიყავი. ერთგან, სადაც გაუცნობიერებლად მისულიყო ხალხი იმის მოთხოვნით: „ჩამოვაგდოთ! მოვკლათ! გავაძევოთ! დავიჭიროთ!“, მეორეგან, სადაც ისხდნენ და ბჭობდნენ, თუ რით ეშველათ სამშობლოსთვის, როგორ აეცილებინათ სისხლისღვრა, ერის გახლეჩა, დაპირისპირება, შუღლი.

ერთგან, სადაც ერთი სიტყვაც არ თქმულა სამშობლოს გამთლიანებაზე: აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებაზე, იქ წვიმაში ცელოფანის „ლაბადებს“ ურიგებდნენ, რომ არ დასველებულიყვნენ, საჭმელს სთავაზობდნენ, ცეკვავდნენ, მღეროდნენ გახარებულნი იმით, რომ ვიღაც უნდა გადაეგდოთ, ვიღაც უნდა გაეძევებინათ, ვიღაც უნდა მოეშორებინათ, გაელანძღათ, ეგინებინათ, შეურაცხყოფა მიეყენებინათ. მეორეგან, სადაც ჩუმად ბჭობდნენ, რადგან ყველა მათგანს გამოცდილი ჰქონდა შიმშილი, სიცივე, ტყვიების ზუზუნი, ჯერაც არ შეშრობოდათ თავიანთ ხელში სულდალეული მეგობრის სისხლი, ჯერაც ტკივათ ნაიარევი, გადამთიელთა ტყვიით მიყენებული. ისხდნენ მდუმარედ, და სამშობლოს გადარჩენაზე ფიქრობდნენ.

მივედი ერთგან, რადგან ყველაზე მეტად ის მაინტერესებდა, თოთხმეტლარიანი პენსიებისა და გაყალბებული ხმების (რასაც მიტინგზე ყველა გამომსვლელი მთელი კვირის მანძილზე, დილიდან საღამომდე სხვადასხვა ინტერპრეტაციით იმეორებდა) გარდა, სხვა რამეს თუ ახსენებდნენ, მაგალითად, დაკარგულ მიწებს, დანგრეული ეკონომიკის ბოლო ხანს ფე-

დემოკრიტე ამბობდა „Excludit sanos Helicone poetas“ (ეს დაახლოებით ასე ჟღერს: — ვინც შეშლილი არ არის, ის ჭეშმარიტი პოეტი ვერ იქნება).

აფერუმ!

რას იტყოდა ჩვენი შემხედვარე დემოკრიტე?

„ვინც შეშლილი არ არის, ის ჭეშმარიტი პოლიტიკოსი ვერ იქნება, მით უმეტეს — ლიდერი!“

**მამუკა ვაშაკიძე.**

თარიღი

# 17 ნოემბერი გალაკტიონ ტაბიძის დაბადების დღეა

## გაბრწყინდეს მეცნიერება გალაკტიონოლოგია!



დღეს გენიალური გალაკტიონის დაბადების დღეა — 111-ე წლისთავია. ჩვენი ყოფის, ჩვენი გაუთავებელი აურზაურის შემხედვარეს უნებურად გაგახსენდება დიდი პოეტის ფრაზა — „ეს არ არის საქართველო“... ღმერთმა ჰქნას, ბოლოს და ბოლოს, ისეთი დღეები გაგვთენებოდეს, რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის სამშობლოს რომ ეკადრება...

ჩვენს მკითხველებს იქნებ ახსოვთ კიდეც, რომ შარშან შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ბატონების — გურამ ბენაშვილისა და თეიმურაზ დოიაშვილის თაოსნობით დაარსდა **„გალაკტიონის კვლევის ცენტრი“** და გამოვიდა წელიწდეული **„გალაკტიონოლოგია“**. ტრადიციის საფუძველს ხომ გამყარება სჭირდება, ამიტომ წელსაც, კერძოდ ზეგ, **19 ნოემბერს 13 საათზე** საქართველოს მეცნიერება აკადემიის სხდომათა დარბაზში „გალაკტიონის კვლევის ცენტრი“ ატარებს გალაკტიონოლოგთა მესამე სამეცნიერო სესიას და სამეცნიერო-ლიტერატურული წელიწადეულს — „გალაკტიონოლოგიის“ მეორე წიგნის პრეზენტაციას.

მაშ, კვლავ და კვლავ, „გაბრწყინდეს მეცნიერება გალაკტიონოლოგია“.

**ვილენ მარდალეიშვილი.**

მსოფლიო შტრიხებში

# რუსეთელები 145,2 მილიონი ყოფილან!

**ბუნებრივია, სრულიად რუსეთის მოსახლეობის აღწერის შედეგები პირველად ქვეყნის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს მოახსენეს, შემდეგ კი ჟურნალისტებს შეხვდა რუსეთის მინისტრი ეროვნული პოლიტიკის საკითხებში ვლადიმერ ზორინი და აღწერის პერიპეტიების მრავალი საინტერესო ფაქტი გააცნო. ვფიქრობთ, ეს ჩვენს მკითხველებსაც დააინტერესებს:**

**რაც მთავარია, რუსეთის მოსახლეობა 145,2 მილიონი ადამიანისაგან შედგება.**

**ის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში მეშვიდე ადგილზეა.**

**მოსახლეობის უმრავლესობა ქალაქებში ცხოვრობს.**

**ბოლო 10 წლის განმავლობაში რუსეთში 11 მილიონი კაცი ჩავიდა. მიგრაციის დონით მან ძალზე გაუსწრო ბრიტანეთს, აშშ-ს და თვით ისრაელსაც კი.**

**რუსეთი ყველაზე მრავალეროვანი ქვეყანაა კონტინენტზე. იქ 160 ეროვნების ხალხი ცხოვრობს.**

**აღწერით, ქვეყანას კიდევ ერთი მილიონერი ქალაქი შეემატა — ვოლგოგრადი.**

**სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით, რუსეთში მამაკაცები უფრო 35 წლის შემდეგ ქორწინდებიან. სწორედ ამ ასაკოვან ჯგუფშია მამაკაცთა დიდი დეფიციტი. ამავე დროს იმ ქალთა რიცხვმა, ვინც თავს დაქორწინებულად აცხადებს, მოულოდნელად 65 ათასით გადააჭარბა ცოლიანი მამაკაცების რაოდენობას.**

**2002 წელს 45 მილიონი რუსეთელი სხვის კმაყოფაზე იყო.**

**მინისტრმა დანანებით ისიც განაცხადა, რომ ქვეყნის ბევრმა მოქალაქემ უარი თქვა აღწერაში მონაწილეობაზე. ყველაზე ცუდად მან მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში, აგრეთვე სანკტ-პეტერბურგში ჩაიარა.**

# მობილურს საპირფარეშოში ნუ შეიტანთ!

**ასეთი არეულობა ნიუ-იორკის ცენტრალურ ვაგზალში დიდი ხანია, არ უნახავთ, თუ არ ჩავთვლით იმ დღეებს, თითქმის ნახევარ ამერიკასა და კანადას დენი რომ გამოერთო.**

**ათასობით ადამიანი ვერსად ვერ გაემგზავრა, რადგან მატარებელი, რომლითაც 41 წლის ედვინ გოლარტი მიემგზავრებოდა, ადგილიდან ვერ დაიძრა, რადგან ედვინს ტუალეტის უნიტაზში მობილური ტელეფონი ჩაუვარდა და მისი ამოღება რომ სცადა, ხელიც იქ გაეჭედა.**

**ამ შემადგენლობის დაყოვნებამ სერიოზულად აურია ნიუ-იორკის რკინიგზის სისტემის მუშაობა.**

**გოლარტს ტელეფონი უნიტაზში მაშინ ჩაუვარდა, როდესაც შემადგენლობა სადგურიდან გადიოდა.**

**ერთ-ერთმა მგზავრმა, ედვინის საბედნიეროდ, გაიგო მისი ყვირილი. გაჭედილი ხელის განთავისუფლებას მატარებლის ბრიგადის წევრები ეცადნენ, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ. შემდეგ კი მეხანძრეები და პოლიცია გამოიძახეს.**

**სამაშველო ოპერაცია საათნახევარს გაგრძელდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში შემადგენლობამ გზა გადაკეტა მთელ ხაზზე. ბოლოს და ბოლოს უნიტაზი მთლიანად მოჭრეს. 600 მგზავრი სხვა მატარებლებში გადასხეს, ხოლო ჩრდილოეთისაკენ მიმავალი შემადგენლობები შემოვლითი ხაზებზე გაუშვეს.**

**რკინიგზის წარმომადგენლის დენ ბრაკერის თქმით, ყოველივე ეს ძალზე ძვირი დაჯდა, გოლარტმა „უნიტაზში მარტო თავისი ტელეფონი კი არ ჩაუშვა, არამედ პიკის საათის მთელი გრაფიკი, ათასობით საგადასახადო დოლარი და ჩვენი მატარებლების სიზუსტის რეპუტაცია“. მან ისიც დაამატა, რომ ნაგვის საცავში მათი კომპანია დაკარგული ტელეფონის ძებნას არ აპირებს.**

**ბედოვლათო მგზავრი კი, შეიძლება, სამართალში მისცენ.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## გამობრწყინება წარსულიდან

# დავით აღმაშენებლის „ანდერძის“ ახალი გამოცემა

**სულ ახლახან წიგნის ბაზარზე გამოჩნდა პოლიგრაფიულად შესანიშნავად გაფორმებული წიგნი „ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი“. წიგნი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიული წყაროების კომისიის და ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით გამოვიდა. ავტორი გახლავთ ცნობილი ისტორიკოსი პროფესორი ვალერი სილოგავა, რედაქტორი – აკადემიკოსი როინ მეტრეველი.**

ვინც წლების განმავლობაში თვალს ადევნებდა ვალერი სილოგავას საქმიანობას, მისთვის გამოკვეთილია მისი მეცნიერულ ინტერესთა სფერო. ეპიგრაფიკულ წარწერათა შესწავლა და პუბლიკაცია, ძველ ისტორიულ დოკუმენტთა მოძიება-გამოქვეყნება, ძველი ქართული ხელნაწერების კოლოფონების ისტორიკოსის თვალით წაკითხვა და ისტორიული კვლევის არეალში შემოტანა. ვალერი სილოგავა მარჯვედ ათავსებს წყაროთმცოდნეობისა და კოდიკოლოგიურ უძნელესსა და ურთულეს პრინციპებს. მის საქმიანობაში აშკარად ჩანს მასწავლებლის ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის აკადემიური სკოლის პრინციპებისადმი ერთგულება. ახლახან გამოსული წიგნიც სწორედ ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიურ-წყაროთმცოდნეობითი დარგების მოთხოვნების საფუძველზეა დაწერილი.

დავით აღმაშენებლის „ანდერძი“ 880 წლის სრულდება. „ანდერძზე“ იყო დიდი მეფის ხელრთვა-ფაქსიმილე და რამდენიმე ავტოგრაფული სტრიქონი მხედრულად. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დოკუმენტის ფაქსიმილური (ფოტოპირული) გამოცემა უთუოდ მისასალმებელი ფაქტია – ავტორს და გამომცემელთ დიდი მადლობა!

„ანდერძი“ ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილი ძეგლია, რომლის შესახებაც არა ერთი საგულისხმო დაკვირვება გამოუქვეყნებიათ ჩვენს სახელოვან ისტორიკოსებს.

დავით აღმაშენებლის ძლევამოსილება, პოლიტიკური ავტორიტეტი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, მაღალი ზნეობა და პიროვნული ღირსებები ჰარმონიულად იყო შერწყმული მის ფრთხილ, დიდი ტაქტით განსაზღვრულ საეკლესიო პოლიტიკასთან, სწორედ ასეთმა პოლიტიკამ განაპირობა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევა, რომლის საიუბილეო თარიღი – 900 წელი ღირსეულად აღნიშნა ჩვენმა ეკლესიამ და საზოგადოებამ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ თავისი დროისათვის აუცილებელი მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა საეკლესიო ცხოვრებაში, რის შედეგადაც გაფართოვდა ეკლესიის როლი, ამაღლდა ღირსეულ სასულიერო მოღვაწეთა ავტორიტეტი, ფართო ასპარეზი მიეცა შემოქმედებით ინიციატივებს და მკაცრად ჩამოყალიბდა ეროვნული სულისკვეთება. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებანი საუკუნეების მანძილზე ჩვენი ეკლესიის თანამედევი იმპულსი იყო.

დავით აღმაშენებლისათვის ეკლესიის მხარდაჭერა საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების განმსაზღვრელი იყო. ამიტომ იგი არ აკლებდა ყურადღებას ქართული სულიერების გამორჩეულ ცენტრებს არც შინ და არც წმინდა მიწაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მფარველობა შიომღვიმის მონასტრისადმი, რაც დასტურდება ანდერძის გარდა 1097 წლისა და 1103 წ. შეწირულების საბუთებით. დიდი მეფის დიდი ყურადღება მონასტერს იცავდა და იფარავდა; „და თქუენ შემდგომად მომავალნო მეფენო, ჩემსა ეკლესიასა და მონასტერსა ანდერძითა ამით შემოგვედრებ წინაშე ღმრთისა შეკრებას ჩუენსა, რომელ არა სირცხჳლისა თანამდებად იხილვენეთ ღმრთისა და ანგელოზთა მისთაგან; მოიხსენეთ ვედრი ჩემი და ნუ ოდეს დამივიწყებთ დავითს. ჰნახევდით გულსმოდგინებით ქმნილსა ჩემსა ეკლესიასა და ნუ ოდეს ვის გაარყუნევთ კულა მას დიდებულსა ლავრასა“.

დავით მეფის სახელი საუკუნეების მანძილზე, განსაკუთრებით ჩვენის ქვეყნის ავბედითობის ჟამს, ყოველთვის აიმედებდა ქართველ კაცს. საქმენი მისნი, მის დროს საარაკონი, ლეგენდებად გადადიოდა თაობიდან თაობაში. ამიტომ იოტისოდენა გადაჭარბებასაც არ ხედავდნენ მადლიერნი თანამემამულენი მეფის მოძღვრის – არსენ ბერის ენკომიაში – „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“:




**„სიბრძნის მოყუარებ შენ, უფროჲსად ბრწყინვალეო, თუალო ყოვლისა სოფლისა მეფეთა ერთგუამობისაო, რომელ-ეგე ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყარო ხილულსა სოფელსა შორის; საჩინო ვითარცა მზე, ვარსკულავთა შორის; ბრწყინვალე, ვითარცა ეთერი ნივთთა შორის, ნათლისფერ, ვითარცა ელვაჲ ღრუბელთა შორის... ყოველთა ვედრებაჲ, ყოველთა ლიტანიობაჲ, ყოველთა ერთჴმობაჲ, ვითარმედ დავით კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცულისა მეფისა ჩუენისა, მრავალმცა არიან წელიწადნი“.**

დავით აღმაშენებლის პიროვნებას განსაკუთრებით საინტერესოს ხდის ის ფაქტიც, რომ დიდი მეფე უზადო ჰიმნოგრაფიც ბრძანდებოდა. მისი „გალობანი სინანულისანი“ ღმერთთან მიახლების დიდი სურვილის, მოკვდავი ადამიანის განწყობის, ცოდვათა მიტევების პოეტური გამოხატვის მაღალი ფორმაა „მეცა სიტყუაო, აღმსარებელსა მომხედენ“, „მე უმადლო გექმენ“, „და აწ, მოდრეკილი მუჴლთა გულისაჲთა, ვჴმობ... მილხინე, ჵ მეუფეო, მილხინე. და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა, და ნუ მოიჴსენებ ძჳრთა ჩემთა და ნუ დამსჯი მე ქუესკნელთა თანა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონათლულთაჲ, ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან“.

თავისი დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის ჩვენმა ეკლესიამ დავით აღმაშენებელი წმინდანად შერაცხა და XVIII საუკ. მისი ხსენების დღეც განაწესა – თავდაპირველად 25 იანვარი, ხოლო ანტონ პირველმა სათანადო დასაბუთებით 26 იანვარზე გადმოიტანა, ანტონმავე შეუდგინა აუცილებელი განგებაც.

ვალერი სილოგავას წიგნიც დიდი მეფისადმი და ეროვნული წმინდანისადმი ჩვენი თაობის მოკრძალებისა და პატივისცემის დასტურია. მართალია, წიგნი დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ერთ კონკრეტულ საკითხს ეძღვნება, მაგრამ მაინც საერთო აზრის ჩამოყალიბებაში უთუოდ დადებით როლს შეასრულებს.

სარეცენზიოდ წარმოდგენილი წიგნი გამოირჩევა აკადემიურობით, დაწერილია დიდი პასუხისმგებლობით. ავტორი ითვალისწინებს როგორც პროფესიონალთა, ასევე ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო საზოგადოების ინტერესებს. გამოირჩევა საკითხთა განხილვის აკადემიურობით, დახვეწილი ქართულით, რომელსაც პოეტური ელფერიც არ აკლია, მრავალი საილუსტრაციო ანალოგების მოხმობით.

თავისთავად დავით აღმაშენებლის „ანდერძი“ შიომღვიმისადმი არის იურიდიული დოკუმენტი, რომელიც მონასტრის ეკონომიურ შესაძლებლობას იცავს და არეგულირებს, ეს არის დოკუმენტი, რომლის წყალობითაც მონასტრის ძმობას ხშირად დაუცავს თავი და თავისი კანონიერი ქონებაც; ისტორიულად ეს ასე იყო, ასე არეგულირებდა „ანდერძი“ სხვა დოკუმენტებთან ერთად მონასტრის უფლებამოსილებას მოყვარესთანაც და მოძალადესთანაც.

„ანდერძს“ მეტად საინტერესო ისტორია აქვს, რომელსაც დაწვრილებით გადმოსცემს ავტორი: „წიგნში წარმოდგენილია შიომღვიმის მონასტრისადმი 1124 წელს დაწერილი მეფე დავით აღმაშენებლის (1089-1125) ანდერძის ფოტოპუბლიკაცია ტექსტთან ერთად, გამოკვლევებით და სამეცნიერო-საცნობარო აპარატით“ – ვკითხულობთ ანოტაციაში.

მეცნიერული ქართველოლოგიის ჩამოყალიბებისთანავე (XIX ს. 40-იანი წლები) დავით მეფის „ანდერძი“ სპეციალისტთა ინტერესების წრეში მოხვდა. საბუთი პირველად დაიმოწმა პლატონ იოსელიანმა 1845 წელს რუსულად გამოცემულ წიგნში. ამ დროისათვის „ანდერძი“ მონასტერში აღარ ინახებოდა, იგი დაცული იყო საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის (დაარსდა 1814 წელს) საცავში 33 ნომრით. 1880 წელს მღვდელს იოსებ ახალშენაშვილს გადმოუღია საბუთის პირი, რომლის მიხედვითაც დ. ფურცელაძემ ვრცლად გადმოსცა შინაარსი. 1895 წელს თ. ჟორდანიამ „ქრონიკების“ პირველ ტომში გამოაქვეყნა „ანდერძის“ ტექსტი სათანადო კომენტარებით. 1896 წ. თ. ჟორდანიამ კვლავ დასტამბა ტექსტი, მეცნიერისათვის ცნობილი იყო, რომ 1895 წ. ალექსანდრე როინიშვილმა დაამზადა ფოტონეგატივები, რომლებიც ადრეული პუბლიკაციების დროს ვერ გამოიყენეს. 1915 წელს ტექსტი გამოაქვეყნეს მ. ჯანაშვილმა და ს. კაკაბაძემ. ამ დეტალური ისტორიის გადმოცემა დაგვჭირდა იმიტომ, რომ სწორედ ამ დროიდან „ანდერძის“ ტექსტის შესწავლა-პუბლიკაციაში იწყება ახალი ეტაპი.

1915 წელს პირველი მსოფლიო ომის ქარცეცხლიან დღეებში თბილისის არქივებიდან 3000-ზე მეტი სიგელ-გუჯრი გაიტანეს ჩრდილოეთ კავკასიაში. მოვუსმინოთ ს. კაკაბაძეს:

„ბევრი დაკითხვის და გამოძიების შემდეგ გამოირკვა, რომ გუჯრები სხვა ტფილისიდან მოტანილი საარქივო მასალასთან ერთად თავდაპირველად 1915 წ. მოთავსებულ იქმნა ქ. კრაპოტკინში (ყოფილი რომანოვსკი) მოქ. პაპოვის სახლში. ტფილისიდან ის ღებულობდა სახლის ქირას... რევოლუციის შემდეგ... 1919 წლის იანვარში პაპოვმა, პასუხისგების თავიდან ასაცილებლად, განუცხადა არქივების არსებობა კავკასიის ოტდელის ატამანს გენ. რეპნიკოვს, რომლის ბრძანებით ყველა ყუთი გატანილ იქნა სტანცია კავკასკაიაში (სად. კავკასკაიადან 8 ვერსზე) ეგრეთწოდებულ ძველს ციხესი მდებარე ერთ შენობაში იქ დასაცავად. 1919 წლის თებერვალში (დაახლოებით 12-ში) სტანცია კავკასკაია აიღო წითელმა ჯარმა“ და ... 3000 ერთეული უძვირფასესი დოკუმენტებისა იქცა ნაფლეთებად და მოისპო. მოისპო დავით აღმაშენებლის „ანდერძის“ დედანიც, მხოლოდ „ხელისდადება ნაფლეთი“ გადარჩა, რომელიც ს. კაკაბაძემ ჩამოიტანა და დღეს ინახება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, ფონდი 1448 №2120. სამწუხაროდ, საშვილიშვილოდ დაიკარგა დავით აღმაშენებლის „ანდერძის“ დედანი, დიდი მეფის ხელრთვითა და რამდენიმე ავტოგრაფული სტრიქონით (დასაწყისი და დასასრული).

ბოლო წლების არქეოგრაფიულმა ძიებამ ჩვენს სიძველეთსაცავებში გამოავლინა მეცნიერული კვლევაძიებისთვის მეტად საინტერესო მასალა. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფოტოტეკაში აღმოჩნდა ალ. როინიშვილის მიერ დამზადებული დავით მეფის საბუთის ფოტონეგატივი, ტექსტი არასრულია, მაგრამ შემონახულია ის ნაწილი, რომელზეც არის დავით აღმაშენებლის ხელრთვა და ავტოგრაფული სტრიქონები. ასევე, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში გამოვლინდა ი. ახალშენაშვილის მიერ გადმოღებული „ანდერძის“ პირი. ეს ორი აღმოჩენა იძლევა შესაძლებლობას გაგრძელდეს საბუთის არქეოგრაფიულ-ტექსტოლოგიური კვლევა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო. რომ ორივე ამ აღმოჩენის (ნუ შეგვეშინდება ან გაგვიკვირდება ამ სიტყვების გამოყენება) ავტორია სარეცენზიო წიგნის ავტორი პროფესორი ვ. სილოგავა. სწორედ ამ ფაქტის საზოგადოებისათვის გაცნობამ დამაწერინა ეს მოკლე წერილი!

წიგნი შედგება შემდეგი თავებისაგან: II. ანდერძის დათარიღება; III. ანდერძის ტექსტის დადგენასთან დაკავშირებული საკითხები; IV. ანდერძში დამოწმებული ძველი ქართული საბუთები და ანდერძის დამოწმება ძველ ქართულ საბუთებში; V. ანდერძის აღწერილობა, ტექსტის გამოცემები. VI. ანდერძის ტექსტი (ფოტოპუბლიკაცია); VII. ანდერძის სიმფონი-ლექსიკონი და ორი დამატება; წინ უძღვის: საქართველოს ისტორიის წყაროების გამოცემების სრული ნუსხა.

ყველა მონაკვეთი თავისი აკადემიურობით სპეციალისტთაგან მხოლოდ მოწონებასა და კეთილ სიტყვას იმსახურებს. მე მინდა განსაკუთრებით ორი მონაკვეთი გამოვყო: ტექსტის ფოტოპირული გამოცემა და სიმფონია-ლექსიკონი.

მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეზე მეტია, რაც დავით აღმაშენებლის „ანდერძი“ მეცნიერთა შესწავლის ობიექტია, დღემდე, ამ წიგნის გამოსვლამდე, არავის არ შეუდგენია დოკუმენტის სიმფონია-ლექსიკონი. შეიძლება ზოგიერთი ლექსემის განმარტებაში არ დავეთანხმო ავტორს, მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ვალერი სილოგავამ შეასრულა დიდი საქმე, მან დავით მეფის „ანდერძს“ ფოტოპირული გამოცემითა და სიმფონია-ლექსიკონით მიანიჭა ახალი სიცოცხლე. ამიტომ ვალერი სილოგავას წიგნის – „ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი“ ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი სერიოზული გამარჯვებაა.

**მიხეილ ქავთარია.**

## მსოფლიო შტრიხებში

### ობობები ფოლადს იწველიან?

**ალბათ, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ნატურალური აბლაბუდა ხუთჯერ მტკიცეა ფოლადზე და 30 პროცენტით უფრო ელასტიური და ჭიმვადია ყველაზე საუკეთესო ნეილონზე.**



**მისი სიმტკიცე ისეთია, ობობები ადამიანებისხელა რომ იყვნენ, მათი მოქსოვილი ბადით თავისუფლად შეიძლებოდა სამგზავრო რეაქტიული თვითმფრინავის დაჭერა.**

**ობობებიდან „ნასესხები“ ახალი მასალებისაგან მეცნიერები აპირებენ უსაფრთხოების ქამრების, უწონადი სადენების, ტყვიაგაუმტარი ქსოვილების, სამედიცინო ძაფის, ავტომობილების საბურავების და თვით ხელოვნური იოგების დამზადებას.**

**რათა მიიღონ ზემტკიცე ძაფი, ობობების „წველა“ ხანგრძლივი და სახლაფორთო საქმეა. ამიტომაც სწავლულებმა სულ სხვა გზა გამონახეს. კანადის ბიოტექნოლოგიური კომპანიის „ნექსიის“ გენეტიკოსებმა ობობებში აბლაბუდების სინთეზზე პასუხისმგებელი გენები გადაუნერგეს ნიგერიულ თხებს. მალე მათგან ისეთი რძე მოწველეს, რომელიც უხვად შეიცავს ისეთსავე ცილებს, როგორიც აბლაბუდისაა. რძიდან იღებენ ნედლეულს ძაფის მისაღებად, შემდეგ კი ზემტკიცე აბრეშუმს ქსოვენ.**

### ავტომობილი „ტარაკანის ტვინით“

**მოაზროვნე ადამიანი რაღას არ მოიფიქრებს, შემდეგ უდიდეს გამოგონებად რომ აღიარებენ. მართალია, ავიაციაში უკვე დანერგილია ავტოპილოტები, ადამიანის დაუხმარებლად რომ მიჰყავს თვითმფრინავი ჰაერში, მაგრამ დედამიწაზე, მანქანებით გადაჭედილ გზებსა და გზაჯვარედინებზე ასეთი რამ, ალბათ, წარმოუდგენლად მიგაჩნიათ. არადა, ამერიკულ კომპანიაში Orbital Research, ნავიგაციის სისტემებს რომ ამუშავებს, დაიწყეს ინტუიტურ სენსორულ სისტემებზე მუშაობა, რაც შესაძლებელს გახდის თავიდან ავიცილოთ მანქანების შეჯახება დედამიწაზე, ხოლო თვითმფრინავებისა – ჰაერში.**

**ეს სისტემა, Bio-Averti რომ შეარქვეს, მეცნიერებმა მას შემდეგ გამოიგონეს, როდესაც ტარაკანების ქცევა შეისწავლეს იმ მომენტში, როცა მის დაჭერას ცდილობდნენ.**

**აღმოჩნდა, რომ ამ ჩვენს შინაურ „მეგობრებს“ უნიკალური ნერვიული სისტემა გააჩნიათ. ისინი შეუსვენებლად აკონტროლებენ მათ ირგვლივ მომხდარ ოდნავ ცვლილებასაც კი, ხოლო საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში რეაგირებენ სწრაფად, ზუსტად და, რაც მთავარია, სწორედ.**

**უკვე შექმნილია რადიომართული ავტომანქანის მოქმედი მოდელი „ტარაკანის ტვინით“. ახლო მომავალში კი ახდება ავტომოყვარულთა დიდი ხნის ოცნება – შეიქმნება ავტომანქანა, რომელსაც მძღოლი არ დასჭირდება.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ეპისტოლე

ოტია იოსელიანი

# წერილები დაჩის

## მეზობლობის თაობაზე

ხომ გაგიგონია: მეზობელი მზის უწინარესაა დასანახავიო.

არადა, მზის ამოსვლამდე ხედავ და მზის ამოსვლისა და დღისიერში ხომ შენს თვალწინაა, შენი კარის ყურში. იქვე ღობის ან კედლის მიღმა.

რა თქმა უნდა, მე სოფლის თაობაზე, სოფლის ამბავს გითხრობ. არა იმიტომ, რომ ჩვენ... მე და შენ სოფლელები ვართ, სოფლელია კაცობრიობა. ქალაქი ჩვენთვის – ქართველებისათვის იმდენად ახალია, თვით სიტყვა „ქალაქიც" კი არაა ჩვენი. მიუხედავად იმისა, გუშინდელი და გუშინწინდელი, თუნდ ქრისტეშობამდე ათასწლეულებს იქითაც... და თუ გნებავთ, ჩვენივე გამოქვაბულებიდან გამოველით ჩვენ და იქვე დავსახლდით და დავსოფლდით. დავსოფლდით და „სოფელი" სოფელს კი არა, ქვეყანასაც დავარქვით. და იმდენად დიდხანს ვერ შეველიეთ და მივატოვეთ, ამასობაში სხვები, ჩვენი სამხრეთელი თუ აღმოსავლელი მეზობლები გაქალაქელდნენ. და რაკი სხვადასხვა, სოფლების უგუებელმა, უქნარა, მცონარა, მაწანწალა, დაღლარა, ღლიცინა, ჭორიკანა მიეთ-მოეთიე მებაზრეებმა (ბაზარიც არაა ჩვენი სიტყვა) დღესხვალეობით თავი რომ შეიყარეს, პირდაპირ ქალაქი დაირქვეს და ერთმანეთს ისე საეჭვოდ მიეხურხლნენ, მათ შორის ღობეც არ იყო, რომ ორღობე კი არა, ცალღობე დაერქმიათ და ბარემ ქალაქისეულ ქუჩას დავარქმევთო და როგორც ორღობე, შუკა და ბილიკი მიატოვეს ისევე და გასხვისდნენ, სახელებიც სხვისი დაირქვეს. მერე, ერთმანეთს რომ ეზო არ აშორებდათ, ღობე და ჭიშკარი, ბევრი ქუჩაშიც წამოწვა (ინდოეთში ახლაც ქუჩის ბილიკზე – ტროტუარზე წვანან), გამრავლება დაიწყეს (მოგეხსენება, მაშინ კი არა, ჩვენში ახლაც არაა ქუჩების ელექტროგანათება. ნავთის და გაზის ფარნები გვიანდელია და ბნელში აერიათ თავგზა. ბევრი სულ არ აპირებდა ღალატს, მაგრამ საკუთარ თითს რომ თვალში ვერ მიიტან, შენს ცოლს სხვისი ცოლისაგან როგორ გაარჩევ?). გამრავლდნენ, გამრავლდნენ და მანამდეც, მაგრამ რომ აღარ დაეტიენ, ერთმანეთს დაასხდნენ თავზე. სახლი სახლზე შეადგეს და სართულები დაარქვეს.

ამიტომ იქ ვერ გაიგებდი, მეზობელი მეზობელს მზის ამოსვლამდე უცქეროდა თუ შუაღამით და ნაშუაღამევს ცისიერამდეც.

ამიტომ ანდაზა (გაჩენის დღიდან რომ ადამიანი სიბრძნით ჰქმნიდა) სოფელშია შექმნილი და იქნებ გამოქვაბულშიც კი. სოფელში მზის ამოსვლას ვერ დაუცდი. მზე რომ საქმეზე მიგასწრებს, ის საქმე იმ დღეს არ დამთავრდება. არადა, იმ დღის საქმე თუ იმ დღეს არ დამთავრდა, მეორე დღეს მეორე დღის საქმეა და დღეს თუ ერთი დღისას თავი ვერ მოაბი, მეორე დღეს ორივეს გაწვდები?

და უთენია რომ დგებოდა აქეთა მეზობელი, იქითაც დგებოდა. ის კი არა, რომელი რომელს დაასწრებდა, ეს იყო კაცის ღირსება და ჯერ კიდევ რიბირაბოში ხედავდა მეზობელს. აბა:

– გამარჯობა! – გაგიმარჯოს! აბა:
– რავა ხარ, და რავა გიკითხო. აბა:
– რა საქმეზე გაგიწევია და ხომ არაფერი გიჭირს, აგერ ვარ მე და მაგერ ხარ შენ! აქეთ აქეთური მეზობელი და ჭიშკრის წინ მესამე და ეზოს ბოლოში მეოთხე მეცეცხური მეზობელი (მეცეცხური – აქ რომ კერიის ღველფს დილამდე ვერ შეენახა ნაკვერცხალი, ამ მეზობლისას შეინახავდა. თუ არადა, იმ მეზობლისას). და კარისმეზობლობა – აქ, შენი სახლის კარიდან რომ თავს გაყოფდი, იმის სახლის ღია კარში ცეცხლისპირას მიფიცხებულს ხედავდი. იყავი მეზობლებით და იყვნენ მეზობლები შენით. რძე გინდოდა ბალღისთვის და შენი ძროხა თუ არ იწველებოდა, მეზობელს ჰყავდა; ფქვილი გაგითავდებოდა, მეზობელს ჰქონდა ახალი დაფქული. ლობიოს, მოსახარშს კი არა, მოხარშულს და შეკმაზულს მოუკითხავდე ჯამით და მოგიკითხავდე. საცოდველი, მოსაკითხი და მოსანახავი (ბავშვი რომ დაიბადებოდა). მგერსა და ავს, გაგჭირვებოდა კი არა, რომ დაამცხუნებდი – ჯანმრთელობა და კარგად ყოფნაო! – მოგაძახებდა მეზობელი. ვენახს რგავდი და, მეზობლები რგავდნენ. სახლს აშენებდი და, მარტო კარის მეზობელი კი არა, მთელი სოფლის ყველა ოჯახს უნდა მიეღო მონაწილეობა. ჭირი იყო და, შენს მკვდარს შენ ცრემლებს აყრიდი, თორემ ტირილით სოფელი ტიროდა. ლხინი, დღესასწაული და ქორწილი, ძეობა, ნათლობა – მოგეცა ლხენა! – მეზობლები იყვნენ ავან-ჩავანნი. მეზობელს, რომ გენდომებინა, ვერ დაემდურებოდი. რაფერ, მის გასაკეთებელს ვის გაუკეთებდი და ვინ გაგიკეთებდა. ცეცხლს ვერ დაანთებდი უმეზობლოდ და წყალს ვერ დალევდი, თუ წყაროზე ქალები და ბავშვები ერთად არ წავიდოდნენ და არ მოიტანდნენ. წისქვილი იყო და, ერთი ურემი ნაფქვავი რად უნდოდა ერთ ოჯახს, შენი და სხვა მეზობლის ერთს მიჰქონდა. შენ მიდიოდი ხარ-ურმით და, შენი და მეზობლების მიგქონდა. შენს ჭირსა და ლხინს შენს ძმას (თუ მთლად გვერდით არ გესახლა) მეზობელი ატყობინებდა. დას ხომ, ზოგჯერ ერთი დღის სავალზე დასჭირდებოდა მისვლა სამოციქულოდ. დეიდაშვილ-მამიდაშვილს და ნათესავ-მოყვარეს...



მეზობელი იყო, ვისითაც ცხოვრობდი და ვინც შენით ცხოვრობდა.

„სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია"-ო. გონიერი ის იყო, ვინც მეზობლის ფასი იცოდა და თანადგომა და თანალმობა. მეზობლის ეზოში გახარებულ ხეს ტოტები შენს ეზოში რომ გადმოეტანა, ჩამოვარდნილ ნაყოფს პატრონის ეზოში გადადებდი. ღობეზე გადმოფრენილ ქათამს რომ კვერცხი შენი თივის ზვინში დაედო, კაკანზე უნდა გეცნო, რომ შენი არ იყო და კვერცხი, ბავშვის ხელით, პატრონისთვის თბილად გაგეგზავნა. მამლებმა კი იცოდნენ ჩხუბი, დედლები თავისიც ჰყავდათ, მაგრამ ხომ გაგიგონია: „რაც უნდ კარგი ცოლი ჰყავდეს, მაინც ურჩევნია სხვისა"-ო. მამლებს, თორემ კაცი: „მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურია"-ო. შინაურს და გარეულს თუ ვერ გაარჩევდა, იმისთანას იმ სოფელში არ გაეძლებოდა.

იტყვის ვინმე, შენ რავა ყოველთვის ბებიაშენის ხსენება გაკერია პირზეო?! ასეცაა, მაგრამ ბებია საუკუნის თვითონ იყო, რამდენი წინა საუკუნეებისა იცოდა, ვერ გეტყვი. ბებია ჩვენი წინაპრების ადათ-წესების მემატიანე იყო და, აბა, ვის მოვკითხო. ბიძაჩემი ვეჩელიე რომ იმ დასაქცევ ომში წაიყვანეს და აღარ დაბრუნებულა, ღმერთს ხომ მუდამ იმას ევედრებოდა: შვილი დამიბრუნე და ჩემი სული მიიბარეო! სულის, სიცოცხლის საფასურად ითხოვდა მის გადარჩენას, მაგრამ როგორც კი სიტყვა ბიცოლაჩემ ნადიაზე ჩამოვარდებოდა, რომელიც როგორ გვიყვარდა და ვუყვარდით, მაგრამ ბებია თავს უმადურად, წყენით გაიქნევდა: კი, ყოვლად კარგია, მარა რა გინდა, მეზობელი იყო, ჩემს შვილს რა ღმერთი გაუწყრა, მეზობელი რაფერ ითხოვაო! (დაკარგულ შვილს ვერ აპატია. არადა, მეცეცხური მეზობელიც არ ეთქმოდა, ისე შორს საცხოვრელზეც არ დაუდგოდით).

მეზობელი!..

მეზობელი თუ არ გივარგა, არც შენ უქნიხარ ღმერთს და თუ შენ კაი კაცად მოგაქვს თავი და კაი ოჯახით, კარგი მეზობლებით ხარ!

კარგი რომ თქვა, კაი გამგონი გინდა. კარგი რომ ჰქნა, კარგი დამნახავი გინდა.

კარგი რომ ააგო, კარგის გამკეთებელი და მცნობი გჭირდება. კარგად რომ იმღერო, ჩვენი სიმღერები მრავალხმიანია და მეორე, მესამე და მეოთხე უნდა იხმო. სიგლახე რომ ჩაიდინო, ცუდის მგმობელი მეზობელი უნდა გყავდეს. რომ იხელმრუდო, იმ ხელის ჩამომრთმევი მეზობელი არ უნდა გყავდეს. მეზობლის ქალს რომ ხელი ახლო, იმ ხელის შემხმობი მეზობელი უნდა გყავდეს.

ქვეყანას რომ უერთგულო, ერთგული, უღალატო, უანგარო მეზობელი უნდა გმეზობლობდეს. შენ მარტო, თავიც რომ დადო, თავს დაღუპავ და ქვეყანას ვერას არგებ.

## ერთგულების თაობაზე

ახლა შენ, ბოლოს და ბოლოს, შეგაშფოთებს ამდენი წერილობანა, წარბს წარბზე გადააბამ და ხმადაბოხებული იკითხავ:

– რაა ის, ერთადერთი, თუ მთავარზე მთავარი, აუცილებელი და წყალგაუვალი, რასაც ჩემგან, თუ ჩვენგან, თუ, საერთოდ, ადამიანისგან მოითხოვ? რაა რომ გვეჭიროს სანთლად თუ იარაღად, თუ სასოებად. რასაა, რომ არ უნდა გადავცდეთ, არ უნდა შეველიოთ, ყველგან და ყოველთვის ვუერთგულოთ. რა უნდა წაგვიძღვეს, რამ წარგვმართოს, რას ვდიოთ, რით ვეძიოთ ფონი და რაა, რომ გაგვიყვანს გასავალს...

კარგი, გასაგებია! რანი უნდა ვიყოთ, რომ მართალნი ვიყოთ ღმერთთანაც და კაცთანაც, ცასთანაც და მიწასთანაც, დიდთან და პატარასთან, ავთანაც და კარგთანაც, ქვეყანასთან, კაცთან და ქალთან...

– რას მოვითხოვ?

– ჰო, რა მიგაჩნია ასეთად და ერთადერთად, ან არის ასეთი?

– არის და მარტო მე კი არა, მიაჩნდათ სხვებსაც და მიაჩნიათ.

– და რა არის, რას მოითხოვთ?

მოვითხოვთ იმას, რაც ყველასთან და ყველაფერთან პირნათელს გვქმნის და ამ გაუსაგის, გაუტანელ უთავბოლო ცხოვრებაში ყველაფერს თავს დაადგამს, ყველასთან და ყველაფერთან რომ გიწინამძღვრებს და დაგიხსნის ყოველნაირი ცდუნებისაგან.

– მართლაა ასეთი რაიმე ამ ცოდვილ, ასი ათასი ცდუნებით სავსე წუთისოფელში?! – ეს ერთმანეთზე გადაბმული წარბები შუბლზე აგიცვივდება და ყურებსაც აიყოლებს.

– არის!.. ხომ დაუჯერებელია, მაგრამ არის!

– და... რა... რა... რა არის?! – ხმაც კი ჩაგიხჩება.

– და გეტყვი, მაგრამ ძალიან, ძალიან უნდა მიყურადება. ძალიან, ძალიან ჩაძირისძირება თორემ რაა, გგონია? ერთადერთი სიტყვა, არც მეტი, არც ნაკლები – ერთგულება!

– ერთგულება?!

– ერთგულება!

– და ეს „ერთგულება", რაც ამდენ გაუსაძლის, გაუსაგის, თვალგაუტანებელ, აბურდულ-დაბურდულ, უგზო-უკვლოობაში თუნდაც ბილიკს გვაპოვნინებს და გზამართალს გვატარებს?!

– იზამს.

– კარგი, რაა...

– იზამს, რომ იცოდე შენ!

– მერედა, თუ იზამს, არ უნდა ექნა? და შენამდე არ იყო, ქვეყანის გაჩენიდან დღემდე, ადამ და ევადან, შენსა და დედაჩემამდე?! თუ ბრძენთა ბრძენი არა, ჭკუათამყოფელი?

–იყო, როგორ არა, იყო, მაგრამ ბევრს, ამასთან ერთად, სხვა რაიმეც ეგონა საჭირო. სხვა რაიმე კი ამას ხელს უშლის, რაკი ერთგულებაში ყველაფერია. ბევრს ეგონა, ზოგჯერ შეიძლებოდა დავიწყება, თუ არა მიყურისძირება. ზოგს კიდევ, აუცილებლობისა გამო გადასხვაფერება და გარემოების თარგზე მოჭრა. არადა, ერთგულება ფრჩხილის ოდენ დათმობას ვერ ჰგუობს და შეუვალად უნდა ერთგულებდე.

– ასე, მართლა, ყველას და ყველაფერს გასწვდება და ამდენ უგზო-უკვლოს უწინამძღვრებს?

– ყველას, ყველას, ყველას და ყველაფერს ისე წარმართავს, თუ გინდა ანგელოზი გმფარველობდეს და კელაპტრით გზას გინათებდეს. თუ არადა, ა, ბატონო, აგერ მე და აგერ შენ. დავიწყოთ თუ გინდა ღვთით.

– ღვთით როგორ, ჩვენ რაფერ დავიწყოთ, როცა ყველაფერი ღმერთით იწყება და ღმერთითაა შექმნილი.

– რა თქმა უნდა, მაგრამ ღვთის ერთგულებით. ღმერთის ერთგული ხარ, ესე იგი ჭეშმარიტი მორწმუნე ხარ. ერთგული მორწმუნე... ამდენად, შენში ყველაფერი წმინდაა. არ არსებობს შენში არანაირი ხინჯი. წმიდათაწმიდა ხარ და რითაა ეს, იმით, რომ ერთგული ხარ... ან სამშობლო ავიღოთ... ხარ სამშობლოს ერთგული, ვინა ხარ ახლა შენ? ქვეყნისთვის თავდადებული. რაკი ერთგული ხარ, სამშობლო რასაც ითხოვს, აკეთებ, ერთგულს ხომ სხვანაირად არ შეუძლია. და თუ შეუძლია, მაშინ ერთგული საიდან იქნება? ახლა ავიღოთ საქმე. რა საქმესაც ხელი უნდა მოკიდოს, გაუკეთებელს მიატოვებს თუ ცუდად გააკეთებს?! სწავლა ვთქვათ, ისწავლის და რაიმეს დატოვებს, ბოლომდე, ძირისძირამდე არ ჩასწვდება და არ იქნება იმის ღრმა მცოდნე, რისი ცოდნაც ინდომა, თუ... დედ-მამაზე და დაძმებზე არას ვამბობთ, მეგობარი ეყოლება და არ იქნება ის მეგობარი ბედნიერი მისთვის „თავი ჭირსა არ დამრიდად" მეგობრით. თუ ქალს შეიყვარებს, მოატყუებს, აცდუნებს, უღალატებს და გზაშარად მიატოვებს... თუ ცრუსთან, მაცდურთან, მოღალატესთან, მექრთამესთან, ან ქურდთან და ავაზაკთან გაივლის. მე შენ გეტყვი, სიტყვას იტყვის და უღალატებს, ან გატეხს. დაგპირდება და არ შეასრულებს. იმოწმებ და სიმართლეს არ უერთგულებს. ვინმე მოისყიდის, მოქრთამავს თუ დაამუნათებს, შეაშინებ და სიმართლეს ერთგულად ზედ არ დააკვდება.

ერთგულება და მხოლოდ ერთგულება.

რა გაამრუდებს ერთგულის გზა-კვალს, მიდის და მიდის ი კაცი ფეხშეუშლელად.

ღმერთმა ატაროს!

## ზნე-ჩვეულების თაობაზე

მოდი, რა ვქნათ, იცი?..

– რა ვქნათ?

– ისა, რომ გონს მოვეგოთ!

– კი, ბატონო, თუ ჩვენს განწირულ საქმეს რაიმე ეშველება.

– ყოველნაირად უნდა ვეცადოთ.

– ვეცადოთ და რა ვქნათ? რა ვაკეთოთ?

– ის ვაკეთოთ, თავი რომ აგვიღერია და რუსეთს, ევროპელებს, ამერიკა-ავსტრალია-იაპონიას შევციცინებთ, ჩვენს მიწაზე დავიხედოთ. იმ ხალხებმა თავისა იციან, ისე ჩვენ ჩვენისა გვაცოდინა, მაგრამ ჩვენისა რომ ვიცოდეთ, უნდა ვიცოდეთ ვისი გორისანი ვართ. არ ვამბობ, ქვეყანას ჩინური კედელი შემოვავლოთ და იმას იქით არ გადავიხედოთ, მაგრამ შენი ძირის ძირამდე უნდა იცოდე და სხვისი ისე, თვალგადავლებით, რაკი იმ სხვამ, რითაც დღევანდელობა შექმნა, თავისსავე წარსულზე დააშენა და ჩვენ დღევანდელობას რომ თვალი მივაწვდინოთ, ესეც გვეყოფა; და თუ რაიმე დღევანდელ ჩვენსას მიესადაგება (ჭკუა კი არ ისწავლება, ჭკუა უნდა გქონდეს!) და ჭკუაში დაგვიჯდება, მოვიხმოთ.

ერები იმიტომაა ერები, რომ სხვა და სხვა ყველას ყველაფერი თავისი აქვს. მიწა და წყალი კი არა, მზე და მთვარე რომ მზე და მთვარეა, ისიც კი არ ანათებს ყველგან ერთნაირად. რა გასაკვირია, რომ მთა და ბარი თავთავისი ჰქონდეს. წყალი ზოგს მჟანარი, ზოგს მარილიანი, მლაშე და ზოგს იმისთანა მწუთხე და მარილით გაჯერებული აქვს, ზედ ქრისტესავით ვერ გაივლი, მაგრამ გულადმა რომ დაწვე და ხელ-ფეხი სულ არ გაანძრიო, ზემოულზე ჩაფლულხარ შეგიძლია (ჩვენ რომ ძალი გვიყვარს!) მოდგე, იძინო და იძინო. წეღან მზე რომ ვახსენე, ზოგან ექვსთვიანი ღამეა და ექვსთვიანი დღე; ზოგან დღე და ღამე მეტ-ნაკლები და ზოგან თანაბარი. ამას, ზნე-ჩვეულებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ადამიანის გარეგნობაზე, კანის ფერზეც კი, იმისთანა გავლენა აქვს, ვინ ქათქათა თეთრია, ვინ – უფერული, ვინ – მოვარდისფრო, ვინ – წითელი, ვინ – მოყვითალო და ყვითელი, ვინ – მოწაბლისფრო და მიწისფერი, ვინ – შავგვრემანი, შავი და იმისთანა შავი: შენი ნახვა რომ გაუხარდება და გაგიცინებს, თეთრი კბილებით შეჭმას გიპირებს, გგონია. თეთრფეროვანს, რაც გააჩნია, ხომ ტანზე აქვს ჩაფუთვნილი, ზედ დათვის ტყავი აქვს კიდევ ჩამოცმული და თვალები, რომც უჩანდეს, ისე აქვს დაწვრილებული, ვერ ჩახედავ. როცა შავი დედიშობილა დაშლიგინობს ტყეებში და თვალები გადმოცვენაზე აქვს!

– არ გვინდა ამდენი მიეთმოეთობაო! – თავს გაიქნევ შენ და მართალიც ხარ. თვითონვე ხვდები, ერთნაირი ზნე-ჩვეულების, წესის და ზნეობის, რომ ინდომონ, ვერ იქნებიან. როცა, დათვი რომ დათვია, ისიც კი სხვადასხვა ფერისაა: თეთრი, რუხი და შავი. თეთრი დათვი რომ შავი ხალხების ქვეყანაში გაუშვა, სიცხით ამოხდება სული და შავი დათვი რომ თეთრი დათვების სამყოფელში – ერთ ღამეს ვერ გააღწევს. სადაც არაა უზნეო, ის შავი კაცი კი არა, ქალიც რომ ტიტველი დაშლიგინობს და ზნეობრივი ის, ვისაც თვალებიც კი არ უჩანს. ისიცაა, ზოგ შავგვრემანს გაგანია სიცხეში ჩადრი ახურავს და ზოგ თეთფერვანს სიგრილეში უკანალი უჩანს.

ასე რომ, ყველამ თავისი საქმისა იცის და ჩვენ ჩვენისა უნდა ვიცოდეთ.

შენ იმასაც იკითხავ:

– მთლად კარჩაკეტილობას, საკუთარ ნაჭუჭში ჩამწყვდევას ხომ არ ვაპირებთო?!

– არა, კაცო, ხომ ვთქვი, სხვისას თვალი გადავავლოთ და რაც ჭკუაში დაგვიჯდება, ჩვენსას მივუმატოთ. მაგრამ ჩვენსას მივუმატოთ და არა ჩვენი სხვისას. ტყაპუჭებს ჩვენც ვიცვამდით, მაგრამ თხისას, თეთრი დათვისას კი არა. მერე მივუმატეთ, მაგრამ მელიისა, დათვისა კი არა. ვეფხის ტყავი ტარიელს ემოსა, ისიც ნესტანის დარდზე, თორემ, ქაჯეთის ციხიდან რომ დაიხსნა, მერე სპასალარის ჯაჭვის პერანგი მოირგო. თორემ ვეფხის ტყავით რომ ომები გაემართა, ვეფხისას კი არა, თავის ტყავსაც იქ დატოვებდა.

შენ შენითა ხარ შენ!

ჩვენში რომ დამინახავს თეთრი დათვის „შუბაში" შეხვეული „მოდას აძრახებული" და ესკიმოსი მგონებია, მივარდნილვარ, თვალები თუ უჩანს-თქო და თვალები უჩანდა კი არა, დასიცხული, იმისთანას აბრიალებდა, ხელების აფარება მინდომებია, არ გადმოუცვივდეს და საძებარი არ გაგვიხდეს-თქო.

ჩვენში, მოგეხსენება, სიცხეებიც იცის და იმიტომაა იმ შავი მანდილოსნებივით... ჰო, მაგრამ სიტყვამ მოიტანა, მანდილოსნებიო, რომ ვამბობთ, ეს მანდილი სადღაა, როცა კაბაც იმოდენაზე აუტანია და პერანგი დაუმოკლებია, ჭიპი იმ შავი ქალისთვისაა ზნეობრივი, თორემ ჩვენში ჭიპს დაბადებისას რომ მიაჭრიდნენ, მერე ჩასაცმელი ქვევიდანაც ჭიპამდე ამოგვქონდა – ვაფარებდით და ზევიდანაც ჭიპს ჩაშორებული გვემოსა. იმ შავს იმისთანები უჩანს, იქ ჭიპი სახსენებლიც არაა და არც არავინ იცის, ჭიპიანია თუ უჭიპო. შენ რომ წამოგიღია, ის შავგვრემანი რომ მოგადგეს და გკითხოს, ეს ჭიპი კი ჩემია და გასაგებია, მაგრამ სხვა დანარჩენი რატომ არ გიჩანს, რატომ დამირღვიე ჩემი ეროვნული მორთულობაო, რა პასუხს აძლევ? თუ იმას ეტყვი, ბებიაჩემი და ბაბუაჩემი ცეკვავდნენ „ქართულს" ჭიპგადმოგდებულნი და მემკვიდრეობით მივიღეო.

არ ვამბობ მე ის კაცი ჩვენზე უზნეოა და ჩვენ ზნეობრივი-თქო. არც იმას ვძრახავ, ჩადრი რომ ახურავს და ქალის სილამაზეს რომ თვი დავანებოთ, ღიმილს ვერ ელირსება და არც იმას, პირი რომ მოუღია და მარტო კბილებადაა გადაქცეული... იმ ხალხისაა ის და იმათ შვენის და ამის გარდა, ისიც ერთი შეხედვით ვიცი ვინაა. ერთნაირად ვეცვაეთ და ვეხურებ, ერთნაირად ვიმღერეთ და ვყაროთ მღლაყები, ერთნაირად ვთქვეოთ და თვალბა კაცობრიობამ უფლებს ცხრა ჩაისიჩქეიანი ყანწები... ან ჩვენ ვის რად ვენდომებით და ან ჩვენ – ისინი... ან რას ემგვანება კაცობრობა?!

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# სპორტი

## გარინჩა — 70



# შეხვედრა ფეხბურთის „ჩარლი ჩაპლინთან“

**ტომები დაიწერა მეოცე საუკუნის ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელის მანუელ ფრანცისკო დოს სანტოს გარინჩას შესახებ.** ამ სტრიქონების ავტორმა დეტალურად შეისწავლა მისი სპორტული ბიოგრაფია, რომელიც აღსავსეა ტრაგიკული მოვლენებით. მის ხანმოკლე ცხოვრებაში იყო სასიხარულო დღეებიც, რომლებიც შვედეთისა და ჩილეს მსოფლიოს VI და VII ჩემპიონატებში გამარჯვებებს უკავშირდება. ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატზე იგი საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს ფეხბურთის ცნობილმა სპეციალისტებმა, რომლებმაც „ხალხის მწარე სიხარული“ მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებშიც მარჯვენა ფრთაზე შეიყვანეს (ამავე ნაკრებში მარცხენა ფრთაზე მისი საყვარელი მეგობარი მიხეილ მესხი იქნა დასახელებული).

მანე გარინჩა (გარინჩა პატარა ჩიტს ნიშნავს, რომელიც ძალიან სწრაფად დაფრინავს) პატარა ქალაქ პაუ-გრანდეს ტყეებში იგი 1933 წლის 28 ოქტომბერს მოევლინა სამყაროს.

მისი აღზევების პერიოდში ბრაზილიაში გადაიღეს დოკუმენტური ფილმი „გარინჩა — ხალხის სიხარული“, რომელიც წლობით არ ჩამოდიოდა ეკრანიდან, იგი მილიონობით ბრაზილიელი „ტორსიდის“ საყვარელ ფილმად იქცა. 1963 წლის შემოდგომაზე ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ „უემბლის“ სტადიონზე ამ ქვეყნის ფედერაციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო მატჩი გამართა, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისისა და მსოფლიოს ნაკრები გუნდები. მსოფლიოს ნაკრებში მიპატიჟებული მიშა მესხი რუსებმა ლევ იაშინით „შეცვალეს“, ხოლო პლანეტის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ჩილელ ფერნანდო იერას „დაავიწყდა“ ამ გუნდში „ფეხბურთის მეფის“ — პელესა და ბრწყინვალე ფორმაში მყოფი გარინჩას მიწვევა. „ფინტების ხელმწიფეს“ — მანე გარინჩას, 8 ქალიშვილის მამას — კიდევ ერთხელ ატკინეს გული. სამწუხაროდ, ასეთი გამოხდომები მისი 49-წლიან ცხოვრებაში საკმაოდ ბევრი იყო.

როგორც ბრაზილიური ფეხბურთის ნახევარსაუკუნოვან ერთგულ ქომაგს, ძალიან მსურდა, რომ ერთხელ მაინც მენახა მწვანე მინდორზე ჩემი კერპი ფეხმარდი გარინჩა, რომელსაც ცოტა მოგვიანებით ბრაზილიელმა ჟურნალისტებმა „ფეხბურთის ჩარლი ჩაპლინი“ შეარქვეს. ეს ოცნება 1965 წლის ივლისის პირველ რიცხვებში შემისრულდა, როცა „ლუჟნიკებში“ საბჭოთა კავშირ-ბრაზილიის საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გაიმართა. 2 ივლისს ღიპიანმა ვისენტე ფეოლამ თავისი ნაკრების საწვრთნელი მატჩი გამართა, რომელსაც უამრავი ჩვენი „კიროვისბაღელი“ გულშემატკივარი დაესწრო. წუთითაც არ მოვცილებივარ გახუნებულ მაისურში მოვარჯიშე გარინჩას, რომელიც გასაოცარი ფინტების წყალობით თავგზას უბნევდა თავის თანამემამულე ფეხბურთელებს. ვიცოდი, რომ ვისენტე ფეოლას არ უყვარდა ეს არალოგიკური ცრუ მოძრაობების გასაოცარი პიროვნება და იოტისოდენა ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ კვირას, 4 ივლისის მატჩში ფეოლა 31 წლის გარინჩას ძირითად შემადგენლობაში არ დააყენებდა.

საწვრთნელ ვარჯიშს მაშინდელი საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ნიკოლოზ მოროზოვმა თავისი გუნდის ფეხბურთელებიც დაასწრო. გაზეთ „ლელოს“ მაშინდელმა ფოტოკორესპონდენტმა მიხეილ ზარგარიანმა მიშა მესხი გარინჩასთან მიიყვანა და საუკუნის გიგანტებს სამახსოვრო ფოტოც გადაუღო. ამ სცენას მეც ვესწრებოდი და თბილისში ჩამოსვლის შემდეგ სულმნათმა „პროფესორამ“ ეს ისტორიული ფოტო მისახსოვრა, რომელიც მიშა მესხისადმი მიძღვნილი წიგნის „ვარდები მიხეილ მესხისათვის“ გარეკანზე გამოვიყენე...

4 ივლისს „ლუჟნიკში“ მზიანი ამინდი იდგა. 102 ათასი მაყურებელი მქუხარე ტაშით შეხვდა მეოცე საუკუნის ლეგენდარული ვარსკვლავების — პელეს, ჯალმა სანტოსის, ორლანდოს, ჟერსონის, ვორონინის, მიშა მესხის, სლავა მეტრეველის, ბელინის, ჟაირისა და სხვების გამოჩენას...

სსრ კავშირ-ბრაზილიის მატჩის დასრულებას 15 წუთი უკლდა, ბრაზილიელები 3:0 იგებდნენ. ჩემს გვერდით მსხდომი რუსი გულშემატკივრები ავამხედრე, რომ ფეოლას მინდორზე გარინჩაც გამოეყვანა. „ლუჟნიკებში“ გაისმა შეძახილები — გარინჩა, გარინჩა, გარინჩა, მალე გარინჩამ და მასაჟისტმა ამერიგომ ჩემს წინ ჩაირბინეს. მანე მარცხენა, კოჭლ ფეხს მიათრევდა და დასავლეთ ტრიბუნაზე მოკალათებულ ფანატიკოსებს ჰაეროვან კოცნას გვიგზავნიდა. მინდორზე შესვლისას (მან ჟაირი შეცვალა) „ხალხის სიყვარულმა“ მიშა მესხს ხელი ჩამოართვა და საქმეს შეუდგა...

კვლავ ნისლიანი დღე გათენდა, ორშაბათი — 5 ივლისი. შერემეტიევოს აეროდრომზე მეგობარს ვაცილებდით. თვითმფრინავის გასვლამდე 2 საათი იყო დარჩენილი. მოულოდნელად იქ შინდისფერი „იკარუსი“ შემოგრიალდა, რომელმაც ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელები შემოიყვანა. დრო ვიხელთე და ერთ მერხზე გარინჩა მივიპატიჟე. თარჯიმანს კონიაკი „ენისელი“ შევპირდი. „ხალხის სიხარულს“ ვუთხარი, რომ მე სწორედ ის ჟურნალისტი ვარ, რომელმაც შეძახილებით „გარინჩა, გარინჩა!“ კვირა საღამოს აიკლო „ლუჟნიკები“: მარჯვენა გარემარბმა მხარზე ხელი მომხვია, რაღაც სამადლობელი სიტყვები მითხრა, ძლივს გააბოლა ჩემს მიერ შეთავაზებული სიგარეტი „დაისი“ და კოსტიუმის მარცხენა მხარზე ბრაზილიის ნაკრების სამკერდე ნიშანი დამიბნია.

რამდენიმე წუთი ჩემი კერპის გვერდით ვიჯექი, თავი „ლა-სკალას“ თეატრში მეგონა. თითქოს ენრიკო კარუზოს ვუსმენდი. გარინჩამ უბის წიგნაკში თავისი აზრით გუშინდელი მატჩის საუკეთესო მოთამაშეების ნომრები ჩამიწერა — 7 (სლავა მეტრეველი), 6 (გიორგი სიჭინავა), 5 (ვალერი ვორონინი), ბოლოს № 11 მიშა მესხის ნომერიც შემაშველა და ღიმილით განაცხადა — „პრიმა ფორკარდე — კობრა“ (თარჯიმანმა მითხრა, რომ მის ქვეყანაში ასე ეძახიან ფეხბურთელს, რომელსაც ხალხი სუპერ-ვარსკვლავად მიიჩნევს). ეს ქათინაური „ფეხბურთის ჩარლი ჩაპლინმა“ რაღაც განსაკუთრებული სითბოთი გამოთქვა, თვალებზე სინანულის ცრემლები მომადგა, რომ აღნიშნული ინტერვიუ ასე სწრაფად დასრულდა.

ვერცხლისფერი ლაინერი ჰაერში აიჭრა და „ბი-კამპეონები“ მშობლიური ამაზონის ნაპირებისაკენ წაიყვანა. მანე გარინჩა 1983 წლის 20 იანვარს გარდაიცვალა, მისი ძეგლი „მარაკანას“ სტადიონზეა აღმართული.

**შალვა ძირია.**

**სურათზე: „პროფესორას“ მიერ ნაჩუქარი ძვირფასი რელიკვია: მანე გარინჩა „ლუჟნიკებში“ ვარჯიშის დროს. მის გვერდით — მიშა მესხი.**

**ავტორის ფოტოარქივიდან.**

## კრივი

# „ოქროს ბიჭს“ რინგიდან ვინ გაუშვებს?

**დიდი რინგი მხოლოდ მძიმეწონოსნებს როდი ეკუთვნით. დიახ, მათ სხვებზე მეტი სახელი აქვთ, სხვებზე მეტ (შეუდარებლად მაღალ!) გასამრჯელოსაც იღებენ. ამიტომაც არის, რომ შევსებაც აქვთ სხვა, ვთქვათ, საშუალო კატეგორიებიდანაც კი (მოიმატებს კაცი წონას, ვინ უშლის). ამის კლასიკური მაგალითი ყოფილი საშუალოწონოსანი როი ჯონს-უმცროსის ნამდვილი ტრიუმფი იყო ჯონ რუისთან შეხვედრაში.**

თუმცა, ისევე, როგორც ყველა სხვა სფეროში, აქაც არის გამონაკლისი. თვით ყველაზე სახელოვან მძიმეწონოსნებსაც კი არ ჩამოუვარდება პოპულარობით „ოქროს ბიჭად“ წოდებული ოსკარ დე ლა ჰოია, რომელსაც კვალდაკვალ დასდევენ და ელოლიავებიან მატჩების ორგანიზატორები. ისინი ელიან (და ყოველთვის იღებენ კიდეც!) უზარმაზარ შემოსავალს. მატჩი დე ლა ჰოიას მონაწილეობით ყოველთვის დიდ აჟიოტაჟს იწვევს — სრულ ანშლაგს!

30 წლის დე ლა ჰოიას რინგზე უამრავი მატჩი აქვს მოგებული, თუმცა — სამჯერ დამარცხდა კიდეც. ერთი უკვე ყველამ დაივიწყა — ფელიქს ტრინიდადი ასპარეზს გაზნერიდა და ფიქრობენ, რომ არასოდეს დაბრუნდება. თუ რა არის ამის მიზეზი, არავინ იცის. აი, ორი წაგებული ბრძოლა შეი მოსლისთან კი ყველას კარგად ახსოვს. ეს შეხვედრები, როგორც მატჩი იმავე ტრინიდადთან, მსგავსი სცენარით მიმდინარეობდა. პირველ ნახევარში „ოქროს ბიჭს“ უპირატესობა ჰქონდა, შემდეგ იღლებოდა და ბოლოს ქულებით აგებდა. ასე მოხდა 2000 წლის ივნისში მოსლისთან. იგივე გამეორდა წლეულსაც იმავე მეტოქესთან. მას შემდეგ, რაც მოსლიმ გაიმარჯვა და WBC და WBA-ს ვერსიით (69,3 კგ კატეგორიით) მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მან განაცხადა: „ვფიქრობ, ერთ-ორ რაუნდში უფრო ძლიერი ვიყავი, დანარჩენებში თანაბარი ბრძოლა იყო“. მატჩის წინ ოსკარ დე ლა ჰოია ამბობდა, რომ მიატოვებს რინგს, თუკი მოსლისთან წააგებს. უფრო ადრე კი აცხადებდა, რომ დაასრულებს თავის კარიერას, როცა 30 წლის გახდება.



ახლა „ოქროს ბიჭი“ ამბობს, რომ გადაიფიქრა და ბრძოლას გააგრძელებს, კერძოდ ფიქრობს, რომ მესამე მატჩშიც უნდა შეხვდეს მოსლის. მიმომხილველების აზრით, დე ლა ჰოიას რინგიდან არავინ გაუშვებს, მას ხომ უზარმაზარი შემოსავალი მოაქვს. კერძოდ, მოსლისთან წლევანდელი მატჩის ორგანიზატორებმა 340 მილიონი დოლარი მიიღეს. მოდი და დაკარგე ასეთი კაცი!

მას შემდეგ, რაც პროფესიონალი გახდა, დე ლა ჰოიამ მიიღო 150 მილიონი დოლარი. საინტერესოა, რომ მოსლისთან შეხვედრისათვის მას 17 მილიონი დოლარი გადაუხადეს, მოსლის კი მხოლოდ 5 მილიონი. ამ შედარებით „მოკრძალებულ“ ჰონორარს თვით დამარცხებულმა დაუმატა ნახევარი მილიონიც. თურმე ნუ იტყვით, იგი მოსლის სწორედ ამ თანხას დაპირდა, თუკი ხელმეორედ წააგებდა! თუ გნებავთ, უმაგალითო შემთხვევაა კრივის ისტორიაში.

მაშ ასე, ოსკარ დე ლა ჰოია არსად მიდის, უფრო ზუსტად კი — მას არსად უშვებენ.

**გივი თორელი.**

## მხოლოდ შედეგები

### რაგბი

მსოფლიო თასის V გათამაშების ნახევარფინალი. ინგლისი — საფრანგეთი 24:7 (12:7). 22 ნოემბერს ფინალში ითამაშებენ ავსტრალია — ინგლისი.

### ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატის XVIII ტური. „დილა“ — „მცხეთა“ 5:1, „ბათუმი“ — „სიონი“ 0:0, „სპარტაკი“ — „ვიტ ჯორჯია“ 1:4. დღეს ითამაშებენ „დინამო“ — „თბილისი“, „კოლხეთი“ — „ლოკომოტივი“, „ტორპედო“ — „მერცხალი“ (დასაწყისი 15 საათზე).

„მუნდიალ-2006“-ის შესარჩევი რაუნდი. სამხრეთ ამერიკის ზონა. არგენტინა — ბოლივია 3:0, „კოლუმბია-ვენესუელა 0:1, ურუგვაი — ჩილე 2:1, პარაგვაი — ეკვადორი 2:1.

„ევრო-2004“-ის „პლეი-ოფები“. რუსეთი — უელსი 0:0, ლატვია — თურქეთი 1:0, ხორვატეთი — სლოვენია 1:1, შოტლანდია — ჰოლანდია 1:0, ესპანეთი — ნორვეგია 2:1. საპასუხო მატჩები — 19 ნოემბერს.

ამხანაგური შეხვედრა. გერმანია — საფრანგეთი 0:3.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ამაგდარი

# მწვრთნელის ტვირთი



**საერთაშორისო შეჯიბრებებიდან მისი შეგირდები მეტწილად მედლებით ბრუნდებიან. დამოუკიდებელ საქართველოს პირველი „ბრინჯაო“ სწორედ მისმა აღსაზრდელმა გელა პაპაშვილმა მოუტანა, რომელმაც მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მესამე ადგილები დაიკავა. ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის მსგავსი შეჯიბრებების გამარჯვებულები და პრიზიორები არიან ზვიად სულუხია, რამაზ გადაბაძე, გიორგი ჯობავა, ვლადიმერ გეგეშიძე, გენადი გოგიშვილი, ზვიად ძიმისტარიშვილი, ილია ლექავა, ლევან ოდიშარია. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე III ადგილი დაიკავა ევროპის მრავალგზის პრიზიორმა აკაკი ჩაჩუამ, რომელმაც წლეულს ათენის ოლიმპიადის საგზური დაიბევა. განსაკუთრებით ასახელა აღმზრდელი ახალგაზრდა ფალავანმა რამაზ ნოზაძემ. გაზაფხულზე მან ევროპის ჩემპიონატი მოიგო, მერე ახალგაზრდების მსოფლიო პირველობის ოქროს მედალი დაიმსახურა, დიდებში მსოფლიო თასი მოიპოვა, საფრანგეთში კი მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა.**

**წლეულს კიდევ ერთმა მისმა შეგირდმა, ამჟამად ისრაელში მცხოვრებმა გოჩა ციციაშვილმა ისახელა თავი – მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ალბათ, მიხვდით, ვისზეც არის ლაპარაკი – ამ წარმატებების სულისჩამდგმელ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ოთარ ტატიშვილზე, რომელიც თავადაც საკმაოდ სახელოვანი ფალავანი გახლდათ.**

დაიბადა 1947 წლის 9 მაისს თბილისში. ჭიდაობა თოთხმეტი წლისამ დაიწყო პეტრე იორდანაშვილის ხელმძღვანელობით.

თანატოლთა შორის საქართველოს ჩემპიონმა 1963-1965 წლებში ჭაბუკებისა და ახალგაზრდების საკავშირო პირველობებზე ვერცხლის მედლები მოიპოვა. 1964 წელს დიდებს შორის გახდა ქვეყნის ჩემპიონი და მომდევნო წლებშიც რამდენჯერმე დაიმსახურა ეს ტიტული. 1965-1966 წლების სსრკ თასის მფლობელია ახალგაზრდებში. 1967 წელს საქართველოს სპარტაკიადა მოიგო და პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე მეორედ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. 1968 წელს ადრიატიკის თასი დაისაკუთრა, ხოლო სსრკ თასის გუნდურ გათამაშებაში საქართველოს ნაკრებთან ერთად მე-2 ადგილი დაიკავა. 1969 წელს საქართველოს სპარტაკიადასა და ბულგარეთში პეტროვის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე იმარჯვა. 1970 წელს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა. მომდევნო წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა. 1975 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, 1974 და 1976 წლებში ლაიფციგსა და კიევში რკინიგზელთა მსოფლიო თამაშებში იყო პირველი. 1976 წლიდან ოთარ ტატიშვილმა აქტიურ სპორტს თავი მიანება, მწვრთნელობა დაიწყო და დღემდე ფალავანთა დაოსტატებას ემსახურება.

– ბავშვობაში ჭიდაობაზე არც მიფიქრია, – მითხრა ბატონმა ოთარმა, – იმის მიუხედავად, რომ მამას მეგობრები იყვნენ გივი კარტოზია, დავით ციმაკურიძე, ვასილ ილურიძე, გიორგი როსტიაშვილი და სხვები, 6 წელიწადი ცეკვაზე დავყავდი მშობლებს.

**– „პროფესია“ რამ შეგაცვლევინათ?**

– ჩემი თაობის დიდი უმეტესობა სპორტულ სექციებში მეცადინეობდა. ხომ იცით, ორმოცდაათიანსამოციან წლებში ამ მხრივ დიდი ბუმი იყო საქართველოში. ერთ დღეს ჩემმა კლასელმა დამირ ბოლქვაძემ ამიყოლია და თბილისის პიონერთა სასახლის ჭიდაობის წრეში მიმიყვანა, სადაც ნორჩ სპორტსმენებს პეტრე იორდანაშვილი ავარჯიშებდა. ეს იყო 1961 წლის ოქტომბერში.



**– კი მაგრამ, „პეტრეს დარბაზში“ რატომ არ წახვედით?**

– ეს პატივი „ლომთა“ ხვედრი იყო, ჩვენ ხომ, ასე ვთქვათ, ჯერ მხოლოდ ბოკვერები ვიყავით. ფიზიკური მომზადება არ მაკლდა, ამიტომ ფანდების შესწავლა არ გამჭირვებია. ორი წლის შემდეგ ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე მეორე ადგილი დავიკავე.

**– ყველაზე მეტად რომელი შეჯიბრება დაგამახსოვრდათ?**

– საქართველოს პირველობებსა და სპარტაკიადებზე წლების განმავლობაში ვიმარჯვებდი, მაგრამ დიდ შეჯიბრებებზე ვერ მივემგზავრებოდი, რადგან ჩემს წონაში რომან რურუა გამოდიოდა და ხომ იცით, მაშინ მისი სახელი ქუხდა მთელ მსოფლიოში. ამის მიუხედავად, ორჯერ მაინც მომეცა საშუალება, საერთაშორისო ტურნირზეც გამომეცადა თავი. 1968 წელს სპლიტში ადრიატიკის თასზე ვიასპარეზე – ფინალში დავამარცხე იუგოსლავი სრეტერ დამიანოვიჩი, რომელმაც 1971 წელს ბატონ რომანს მსოფლიო ჩემპიონობა წაართვა.

1969 წელს ბულგარეთში პეტროვის საერთაშორისო ტურნირზე გამოვედი. ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. თავად განსაჯეთ: 52 კილოში ოლიმპიური თამაშებისა და სამგზის მსოფლიო ჩემპიონმა პეტერ კიროვმა დაიკავა პირველი ადგილი, 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოლიმპიური თამაშების, ორგზის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებულმა იანოშ ვარგამ ივარგა. 62 კილოში მე გავხდი ჩემპიონი. ამ წარმატებისთვის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მომანიჭეს.

**– ოდესმე გული თუ დაგწყვეტიათ?**

– 1971 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ზედიზედ ოთხი ორთაბრძოლა მოვიგე. ფინალში ესტონეთის სახელით მოასპარეზე ვალერი სპირიდონოვს შევხვდი. მსაჯებმა მოახერხეს, რომ ეს პაექრობა ფრედ დამთავრებულიყო. ბოლოს ხელი ჩემი მეტოქისკენ გაიშვირეს – გამარჯვება მას მიაკუთვნეს, არადა, წინა წელს პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე სპირიდონოვს 38 წამში ვძლიე. ყველაფერი „ზემოდან“ იყო დაგეგმილი, რათა ჩვენი ნაკრები (მის შემადგენლობაში ჩემთან ერთად შალვა გიგოლაშვილი, ართავაზ მირზოიანი, ჯემალ მეგრელიშვილი, რომან რურუა, თამაზ სირბილაძე, თამაზ მაჭავარიანი, ომარ ბლიაძე, მურმან ჩიბურდანიძე და შოთა მორჩილაძე გამოდიოდნენ) რუსების შემდეგ მეორე ადგილზე გასულიყო. მახსოვს, მაშინ საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი სიხარულიძემ პირველი პრემია გადმომცა – შენ ამას იმსახურებ, რადგან სპარტაკიადაზე დაგჩაგრესო.

**– დღევანდელ თქვენს შეგირდებზე რას იტყვით?**

– ექვსი წლის წინათ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა კლუბი „თბილისი“ ჩამოვაყალიბე. დღეს აქ სხვადასხვა ასაკის 160-მდე მოჭიდავე იმაღლებს ოსტატობას. ბევრმა უკვე ისახელა თავი საერთაშორისო ტურნირებზე. ჩემი შეგირდებიდან განსაკუთრებით რამაზ ნოზაძე მინდა გამოვყო. იგი ათი წელიწადია, ჩემთან ვარჯიშობს. 42 კილოგრამს იწონიდა, დარბაზში რომ მოვიდა. ახლა ასკილოგრამიანი გოლიათია, მსოფლიოში ყველა ფალავნისთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, წლეულს შესანიშნავად მოიგო ევროპის ჩემპიონატი, მერე თანატოლთა შორის მსოფლიო პირველობაზეც იყოჩაღა. საფრანგეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზეც კარგად იჭიდავა. ჩვენ სპეციალურად ვემზადებოდით ეგვიპტელ გაბერ იბრაგიმთან შესახვედრად, რადგან ვიცოდით, რომ კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზაზე იგი აუცილებლად გადაგვეღობებოდა. ეგვიპტელი ვერ იტანს ახლო ჭიდაობას და ხელების შებოჭვას. რამაზი ემოციური ბიჭია. ტემპში აჰყვა მეტოქეს, რომელიც მასზე გამოცდილია და მარცხიც ამან განაპირობა.



აი, შვედმა მარტინ ლიდბერგმა აფრიკელს სწორედ იმ ტაქტიკით სძლია, რასაც ნოზაძეს ვავალებდით. სამაგიეროდ, ახალგაზრდა მოჭიდავე შეუდარებელი იყო მესამე ადგილისთვის სალდაძესთან ორთაბრძოლისას. ვფიქრობ, მსოფლიო ჩემპიონატზე დებიუტისთვის ბრინჯაოს მედალი და ათენის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია კარგი შედეგია. ნოზაძე რომ დღითი დღე იზრდება და ხვეწს ოსტატობას, ეს ყაზახეთში მსოფლიო თასის გათამაშებაზეც გამოჩნდა. იქ რამაზმა ყველა მეტოქე დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა. ერთიც მინდა აღვნიშნო: ახალგაზრდების მსოფლიო პირველობიდან იგი დგომში აკეთებს ფანდებს, რაც მის წონაში იოლი არ არის. რამაზი ფიზიკურად ძლიერია. შემთხვევით არ შეურქმევიათ მისთვის „პატარა კარელინი“.

**– აკაკი ჩაჩუას გამოსვლის თუ ხართ კმაყოფილი?**

– 34 წლის კაცი ოლიმპიური თამაშების საგზურს რომ მოიპოვებს, უკმაყოფილო როგორ შეიძლება იყო. თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩაჩუას ჯერ კიდევ გააჩნია რესურსები. დღემდე მიღწეული მისთვის სულაც არ არის ჭერი. მართალია, მას ცხოვრებისეული პრობლემები აწუხებს, მაგრამ სანამ ხალიჩაზე დგას, ყველაფერი უნდა გაიღოს წარმატების მისაღწევად. რაც შეეხება საფრანგეთში გამართულ ორთაბრძოლებს, აკაკის ცუდად არ უჭიდავია. რომ არა ერთი ფსიქოლოგიური ფაქტორი, შეიძლება, მედლისთვისაც გამოეკრა ხელი. ნაზარიანთან შეხვედრის წინ ბულგარელებმა ჩაჩუასთან გარიგება სცადეს – წაგების საფასურად გარკვეული თანხა შესთავაზეს, რამაც უარყოფითად იმოქმედა ქართველ ფალავანზე, არბიტრებმაც არაობიექტურად იმსაჯეს. ამას რომ ვამბობ, სულაც არ ვაკნინებ ნაზარიანის შესაძლებლობებს. ბოლო ათწლეულის მიღწევებით იგი მხოლოდ კარელინს თუ ჩამოუვარდება.

მთავარია, რომ ჩაჩუამ, როგორც აღვნიშნე, მსოფლიო ჩემპიონატზე მეხუთე ადგილთან ერთად ელადის საგზურიც მოიპოვა. მჯერა, რომ ათენიდან ნოზაძე და ჩაჩუა უმედლოდ არ დაბრუნდებიან.

**– იქნებ, გოჩა ციციაშვილის წარმატებაზეც გვითხრათ რამე?**

– ალბათ, იცით, რომ ციციაშვილი თბილისში დაიბადა და გაიზარდა. ბავშვობისას ჩემთან დაიწყო ვარჯიში. მსოფლიოში აღიარებული ფალავანია, მართალია, 9 წელიწადია, ისრაელში ცხოვრობს, მაგრამ დღემდე ჩემს შეგირდად რჩება. ახლაც, მსოფლიო ჩემპიონატის წინ თბილისში ვარჯიშობდა. ნიჭიერი, შრომისმოყვარე სპორტსმენია და ალალია მასზე მსოფლიო ჩემპიონობა.

**– სამომავლოდ რას აპირებთ?**

– მწვრთნელის ხვედრი ასეთია – ადრე დილიდან გვიან საღამომდე დარბაზში უნდა იმუშაოს შეგირდებთან, დააფრთიანოს მომავალი ჩემპიონები, რომლებიც სახელსა და დიდებას მოუტანენ სამშობლოს. მეც დაუღალავად ვშრომობ და ვინც მიჯერებს, წარმატებებსაც აღწევს. ახლა დიდი საზრუნავი მაქვს – ხუმრობა ხომ არ არის ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის სამი შეგირდის მომზადება, თანაც ისე, რომ კვარცხლბეკზე ასვლა არ გაუჭირდეთ. მიზანი ერთია – ოლიმპიური ჯილდო!

*მოჭიდავეებმა, ფაქტობრივად, სეზონი დაამთავრეს, წარმატებითაც, მაგრამ ოთარ ტატიშვილი და მისი აღსაზრდელები, სხვებიც, ფალავანთა კლუბს ვერ ელევიან. ხვეწენ ოსტატობას, ტაქტიკას. ეს არც არის გასაკვირი: სამიზნედ ხომ ათენის ოლიმპიური თამაშებია...*

**ვაჟა დანელია.**

**სურათებზე: ოთარ ტატიშვილი; იგი მუდამ თავაწეული ჭიდაობდა; საქართველოს ახალგაზრდა მოჭიდავეები სსრკ პირველობაზე 1967 წელს (პირველ რიგში, მარცხნიდან პირველი ოთარ ტატიშვილი); ოთარ ტატიშვილი, ევროპის ჩემპიონი ვლადიმერ გეგეშიძე და თამაზ გეგეშიძე.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ვარსკვლავი

# რონალდოს ეზიზღება ლაჩრული ფეხბურთი

**ცოტა ძნელი დასაჯერებელიც კია, რომ მსოფლიოში უძლიერეს ფეხბურთელად მიჩნეული რონალდო, რომელსაც ვის აღარ ადარებენ, წარსულის რომელ ვარსკვლავს აღარ ამჯობინებენ, უკმაყოფილოა თავისი ბედისა...**

დასაწყისში მცირეოდენი რამ მაინც გავიხსენოთ,

რონალდო (სრული სახელი და გვარია რონალდო ლუის ნაზარიო ლიმა) დაიბადა 1976 წლის 22 სექტემბერს ბრაზილიის ქალაქ ბენტუ-რიბეირუში, 183 სმ სიმაღლისა, 82 კგ. აქამდე პირდაპირ განებივრებულად ითვლებოდა, იმდენი წარმატება ჰქონდა. თამაშობდა „კრუზეირუში“ (1993-1994), „პსვ ეინდჰოვენში“ (1994-1996), „ბარსელონაში“ (1996-1997), მილანის „ინტერში“ (1997-2002), მადრიდის „რეალში“ 2002 წლის 31 აგვისტოს ჩაირიცხა, კონტრაქტი აქვს 2006 წლის 30 ივნისამდე.

ძირითადი წოდებები: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი, უეფას თასზე და თასების მფლობელთა თასზე გამარჯვებული, ჰოლანდიის თასის ორგზის მფლობელი.

რონალდოს პირდაპირ ბრწყინვალე შედეგები აქვს ბრაზილიის ნაკრებში, სადაც 67-ჯერ ითამაშა და 47 გოლი გაიტანა.

მაშ, რითია უკმაყოფილო ესოდენ განთქმული ოსტატი?!

უპირველეს ყოვლისა, ძალზე უკმაყოფილოა თავისი ახლანდელი მდგომარეობით მადრიდის „რეალში“ და ოცნებობს დაუბრუნდეს მილანის „ინტერს“, სადაც მთელი 5 სეზონი გაატარა. საინტერესოა, რომ სულ უკანასკნელ ხანებამდე რონალდოს არაფერი ჰქონდა „რეალის“ საწინააღმდეგო, სადაც შარშანდელ სეზონში 23 გოლი გაიტანა, ეს კი ამ კლუბის ყველა სხვა თავდამსხმელის შედეგზე უკეთესი იყო. მას მიმდინარე სეზონშიც საკმაოდ ბევრი გოლი გააქვს.

„რეალისადმი“ დამოკიდებულება შეცვალა მილანის „ინტერში“ მომხდარმა ცვლილებებმა და ამ კლუბიდან რონალდოსათვის საძულველი ვიქტორ კუპერის განდევნამ. თუმცა, ამის შესახებ ცოტა ქვემოთ....

„რეალში“ ბრაზილიელს არ მოსწონს ის, რომ თამაშის დროს მას მუდმივად ცვლიან. ამ სეზონის 12 მატჩში იგი 10-ჯერ (!) შეცვალეს. ამას გუნდის ახალი, პორტუგალიელი მწვრთნელი კარლუშ კეირუში ტაქტიკური აუცილებლობით ხსნის, აგრეთვე, იმითაც, რომ რონალდომ მეტი ძალა შეინარჩუნოს, შემდგომ მატჩებში კიდევ უკეთესად ითამაშოს.

— მე არ მომწონს, რომ არ მაძლევენ მთელი 90 წუთის განმავლობაში თამაშის საშუალებას. ძალიან უსიამოვნო რამ არის, როცა გაცხარებული ბრძოლის დროს მინდორს გატოვებინებენ. ისევე, როგორც ყველა ფეხბურთელს, მეც მინდა თავიდან ბოლომდე თამაში მაშინაც კი, როცა ჩემი მზადყოფნა, ასე ვთქვათ, არ არის მაინცდამაინც კარგი, შემიძლია გოლის გატანა და გუნდისათვის გამარჯვების მოტანა. ამავე დროს მე არ მსურს მწვრთნელის გადაწყვეტილების კომენტარი. გუნდის შემადგენლობის დადგენა და თამაშის დროს ცვლილებები ხომ მხოლოდდამხოლოდ მისი პრეროგატივაა. მე რაღა დამრჩენია, უნდა შევეგუო ამჟამად შექმნილ სიტუაციას, შემდეგისათვის კი არ მსურს, რომ სისტემატურად მცვლიდნენ.

შეიძლება „კიჭას“ ეს განცხადება არცკი გაეკეთებინა, ბოლოსდაბოლოს, მსოფლიოს უძლიერეს კლუბში თამაშობს და უზარმაზარი ანაზღაურებაც აქვს. თუმცა...

ახლა კვლავ ვარაუდობენ, რომ რონალდოს სურს „რეალის“ მიტოვება და „ინტერში“ დაბრუნება. აქეთკენ მიანიშნებს „ინტერის“ პრეზიდენტის მასიმო მორატის უკანასკნელი განცხადებაც, რომელიც არ გამორიცხავს, რომ მილანელებს სულ მალე კვლავ იხილავენ თავიანთ საყვარელ ფეხბურთელს.

— ახლა, მართალია, ძნელია ამ საკითხზე რაიმე გარკვეულის თქმა. რონალდოს ჩვენს კლუბთან ბევრი რამ აკავშირებს, მას ხომ „ინტერის“ აქციების გარკვეული ნაწილიც ეკუთვნის, თუმცა სულ სხვა კლუბში თამაშობს. მე ძალიან მომწონს რონალდოს თამაში, თუმცა, ძალიან გვაწყენინა, როცა მიგვატოვა. ძალიან გამიხარდა, როცა თქვა, რომ ჩვენთან დაბრუნება სურს. მართალია, ამის თაობაზე ჩვენ ჯერ არ დაგვიწყია მოლაპარაკება „რეალთან“, ამასთან, თუკი რონალდო ამას ოფიციალურად განაცხადებს, სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს.

იტალიელი მიმომხილველები იუწყებიან, რომ რონალდო ძალიან გაახარა ექტორ კუპერის გადაყენებამ „ინტერის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან. ბრაზილიელი ამ ფაქტს მაშინაც მიესალმებოდა, ვისაც კი არ უნდა შეეცვალა არგენტინელი სპეციალისტი. საქმე ის არის, რომ „ინტერი“ რონალდომ სწორედ მისთვის საძულველი კუპერის გამო დატოვა, რომელთანაც სისტემატურად ჰქონდა უსიამოვნება როგორც საფეხბურთო, ისე ყოფითი საკითხების გამო.

— მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ სანამ კუპერი სათავეში უდგას „ინტერს“, ეს გუნდი საერთოდ ვერაფერს მოიგებს. კუპერი მეტისმეტად მშიშრული ტაქტიკის მიმდევარია, თქვენ წარმოიდგინეთ, პრაქტიკულად უკრძალავს კიდეც თავის გუნდს შეტევაზე გადასვლას. რაც შემეხება მე, ყოველთვის „ინტერის“ გულმხურვალე ქომაგი ვარ და დიდი სიამოვნებით დავბრუნდებოდი ამ კლუბში, როცა კი ამისი პირველივე შესაძლებლობა მექნება. იქ ხომ კუპერი აღარ დამხვდება.

ახლა, როცა „ინტერს“ ჯერ ერნან კრესპო გამოეთხოვა, ამ დღეებში კი კრისტიან ვიერიც აუბუზღუნდა („წავიდეს, სადაც უნდა, თუ თამაში არ სურს“ — ასე განაცხადა გაბრაზებულმა მორატიმ), რონალდოს ამ უკანასკნელმა განცხადებამ პოპულარული მილანური კლუბის გულშემატკივრების ნამდვილი აღტაცება გამოიწვია.

**გივი თორელი.**



საუბარი ცოცხალ ლეგენდასთან



# თეოფილო სტივენსონი: „არასოდეს ფიდელ კასტროს პირად დაცვაში არ მიმუშავია“.

**ადამიან-ლეგენდას ვესაუბრები, კაცს, რომელზეც მსოფლიოს კრივის მილიონობით თაყვანისმცემელი რამდენიმე ათეული წელია საუბრობს. მთელი ამ ხნის განმავლობაში მსოფლიოს სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი თეოფილო სტივენსონი თაყვანისმცემელთათვის — გენიოსად ითვლებოდა, მოწინააღმდეგეთათვის კი — დაუპყრობ მწვერვალად.**

***— როგორ გრძნობს თავს ოლიმპიური ჩემპიონი?***

— ამ მომენტში ნორმალურად.

***— თქვენ დღესაც ფიდელ კასტროს პირად მცველად მუშაობთ?***

— არასოდეს მიმუშავია ფიდელის პირად მცველად. უბრალოდ, ყველა კუბელი, რომელიც თავის თავს ნამდვილ კუბელად თვლის, თავისი პრეზიდენტის ჯანმრთელობაზე და ხელშეუხებლობაზე ფიქრობს.

***— მიუხედავად ამისა, თქვენ მაინც გქონდათ პრეზიდენტთან ურთიერთობა?***

— დიახ. იყო ასეთი შემთხვევაც, როდესაც ჩვენ ერთი თვითმფრინავით ვიმგზავრეთ.

***— იგი ცხოვრებაშიც ორატორობითაა გატაცებული თუ მხოლოდ მასებთან თამაშობს ორატორის როლს?***

— სრულიადაც არა. როგორც ყველა ნორმალური ადამიანი, ისიც შეხვედრისას პირველად მოიკითხავს თქვენს ოჯახს, პირადი საქმეებითაც დაინტერესდება... ყოველგვარი პოლიტიკური მოტივების გარეშე.

***— ყველა დარწმუნებულია, რომ კუბელები მხოლოდ თავის სამ ეროვნულ გმირზე საუბრობენ — ჩე გევარაზე, ფიდელ კასტროსა და თეოფილო სტივენსონზე...***

— ჩემი თანამემამულენი მხოლოდ ჩე გევარაზე, პრეზიდენტსა და ჩემზე არ საუბრობენ. არსებობენ სხვა, არანაკლებ ცნობილი პიროვნებებიც, როგორებიც არიან ჩვენი კოსმონავტი არნალდო ტამაიო მენდესი, ჩვენი მწვრთნელი ალსილეს საგირა. მეც რომ მაფასებენ და პატივს მცემენ, ეს ბუნებრივიცაა.

***— თქვენთვის არაერთხელ შემოუთავაზებიათ პროფესიულ კრივში გადასვლა, თქვენ ყოველთვის უარს აცხადებდით...***

— მე ვიცი რა არის პროფესიული კრივი, ისიც კარგად ვიცი, იქ არაფერი არაა მოსაგები. ის თანხა, რაც კი მოგიგია, შეიძლება რამდენიმე წუთში წააგო და, ამასთან ერთად, ჯანმრთელობაც დაკარგო. იქ ულარიბესი ადამიანები იბრძვიან, რომლებსაც დასაკარგი არაფერი აქვთ. მათ არასოდეს უვლიათ სკოლაში, ამიტომაც გაუნათლებლები არიან, არ ძალუძთ შეინახონ ის ფული, რომელიც გამოიმუშავეს. ქარის მოტანილი ქარს მიაქვს.

***— ესე იგი, ბატონ სტივენსონს პროფესიული კრივი არ უყვარს?***

— უბრალოდ, არ მსურს ჩემი ჯანმრთელობა ფულს ვანაცვლო.

***— ეს ერთადერთი მიზეზია?***

— მეტი რა უნდა იყოს ჯანმრთელობასა და სუფთა სინდისზე მეტი?

***— როგორც ვიცი, კუბაც ამგვარ მოსაზრებას „უჭერს“ მხარს.***

— კუბაში გამოვიდა კანონი, რომელიც პროფესიულ ორთაბრძოლებს კრძალავს. ეს ჩვენთან არაჰუმანურად ითვლება. თუმცა ვინც ადრე ამას მისდევდა, მათ ნება დართეს კვლავ გააგრძელონ თავიანთი საქმიანობა. ბევრი ჩემი თანამემამულე პროფესიულ სპორტში ჩემპიონის ტიტულს ფლობს.

***— ესე იგი, თქვენმა მთავრობამ მეტი ყურადღება სამოყვარულო კრივს დაუთმო?***

— ჩვენი მთავრობა სპორტის ყველა სახეობას ეხმარება, არა მხოლოდ სამოყვარულო კრივს. ეს ციფრებითაც კარგად ჩანს. ჩვენთან 19 წლის მანძილზე მსოფლიო ჩემპიონატებზე 53 ოქროს მედალი, პლუს 27 ოლიმპიური ოქრო მოიპოვეს...

***— ახლა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატსაც გადავხედოთ...***

— 1974 წლიდან, როდესაც გაიმართა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი კრივში, რუსებმა მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვეს, დანარჩენ შეხვედრებში ჩვენ პირველობა არავისთვის დაგვითმია. ჩვენი ფედერაცია რუს მეგობრებს ულოცავს ამ გამარჯვებას. ეს ნიშნავს, რომ თქვენთან კრივს უკვე დიდ ყურადღებას აქცევენ, შესაბამისად კრივის დონეც იზრდება. ჩვენი კრივი „ემადლიერება“ საბჭოთა და რუსულ კრივს — ჩვენ ბევრი შევიძინეთ თქვენგან. ჩვენს ფედერაციებს შორის ყოველთვის გულთბილი დამოკიდებულება იყო. ჩვენს შორის რომ ურთიერთდაპირისპირებაა, ეს გარედან ჩანს, სინამდვილეში ჩვენ მეგობრები ვართ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მზად ვართ მომავალ წელს ერთმანეთს რინგზე შევხვდეთ. ყველა კმაყოფილებით უყურებს ჩვენს ორთაბრძოლებს, რადგან რუსეთისა და კუბის მოკრივეთა შეხვედრები ყოველთვის „ხარისხიანია“.

***— 2003 წლის ჩემპიონატის შემდეგ დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ კუბური კრივი კრიზისს განიცდის. რამდენად სარწუნოა ეს?***

— საუკეთესოებს ყოველთვის აკრიტიკებენ. ავიღოთ თქვენი ეროვნული გუნდი ჰოკეიში. წააგებთ თუ არა, ყველა გაძაგებთ. რატომ? იმიტომ, რომ თქვენგან ყოველთვის გამარჯვებას ელიან.

***— გული არ გწყდებათ, რომ მონაწილეობა არ მიიღეთ ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებში, იქ ხომ თქვენ ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდებოდით?***



ლეგენდარული მოკრივის ავტოგრაფიანი ხელთათმანი.

— ეს ჩვენ რუსებთან ერთად გადავწყვიტეთ. რადგანაც ჩვენ ერთმანეთთან ვმეგობრობთ, რუსებმა კი პროტესტი განუცხადეს ოლიმპიადას, — სწორედ ამიტომ არც ერთი არ უნდა გავმგზავრებულიყავით ამერიკაში. მე ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილი დავრჩი. იმასაც მეკითხებოდნენ: „იქნებ გსურთ გამგზავრება?“ მე ვპასუხობდი: „ჩვენი ნაკრები და რუსეთის ნაკრები ამერიკაში არ მიფრინავს, ე. ი. მეც არ მივფრინავ“.

***— თქვენთვის ესე იგი მეგობრობა მეტს ნიშნავს, ვიდრე სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი რეკორდი?***

— რა თქმა უნდა.

**ტატიანა ატიუხოვა.**
**„მოსკოვსკი კომსომოლეცი“, №244.**


სტივენსონი რინგზე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## აქეთურ-იქითური

### იარა, იარა და დაბრუნდა

**ინგლისის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი პოლ გასქოინი, რომელიც ცნობილია „გადაკვრის" სიყვარულით, ანტიალკოჰოლური მკურნალობისა და ჩინეთის კლუბში თამაშის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა.** ახლა 26 წლის ფეხბურთელს პრემიერ-ლიგის ერთ-ერთ კლუბ „ვულვერჰემპტონ უენდერერსში" თამაში სურს.

„გაზამ" უკვე ითამაშა ამ პოპულარული (ახლა კი საკმაოდ სუსტი) კლუბის სათადარიგო შემადგენლობაში და შეიძლება ამ დღეებში კონტრაქტსაც მოაწეროს ხელი.

### რაულს ემღერება

**მადრიდის „რეალისა" და ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელმა რაულმა ჩაიწერა ესპანური ხალხური სიმღერა ფოლკლორული მუსიკის ალბომისათვის.** იგი ხალხური მუსიკის დიდი გულშემატკივარია და მღერის ანდალუზიურ სიმღერებს. ახალ ალბომს კი „მომავლის სამჭედლო" ჰქვია. მის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა ესპანელმა მომღერლებმა და მოცეკვავეებმა.



### თუ კლუბში არ ითამაშა, ნაკრებსაც დაატოვებინებენ

**2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი რომ დამთავრდა, ექსპერტებმა მსოფლიოს უძლიერეს მეკარეებად აღიარეს გერმანელი ოლივერ კანი და თურქი რეჩბერ რუშტიუ.** კანმა გააგრძელა თავისი წარმატებული კარიერა მიუნხენის „ბაიერნში", თურქის საქმეები კი ცუდად წარიმართა. 30 წლის გოლკიპერი, რომელსაც 80-ზე მეტი მატჩი აქვს გამართული ეროვნულ ნაკრებში, „ბარსელონაში" გადავიდა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა. „ბარსელონას" ახლანდელი მთავარი მწვრთნელი, ჰოლანდიელი ფრანკ რაიკაარდი ვერ ხსნის, რატომ არ ენდობა ესოდენ გამოცდილ მეკარეს.

— რომ მცოდნოდა, „ბარსელონაში" სისტემატურად არ ვითამაშებდი, ამ კლუბში როგორ გადმოვიდოდი? — განუცხადა რუშტიუმ ჟურნალისტებს, — ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების წინ ჟოან ლაპორტამ (ახლანდელმა პრეზიდენტმა) მითხრა, რომ „ბარსელონას" ძალიან სჭირდება ჩემნაირი კლასის მეკარე. მე ეროვნულ ნაკრებზეც ვფიქრობ. განა მისი ხელმძღვანელობა კვლავ მიმიწვევს, თუკი ესპანეთის ჩემპიონატში არ ვითამაშე? მე ხომ სათანადო პრაქტიკა არა მაქვს!

რეშტიუმ არ გამორიცხა, რომ თუ ასე გაგრძელდა, ზამთარში „ბარსელონას" გამოემშვიდობება.



### ბესონოვმა თურქმენეთში ვერ გაძლო

**წარსულში კარგად ცნობილმა ფეხბურთელმა ვლადიმირ ბესონოვმა უარი თქვა თურქმენეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე (ამ პოსტზე რამდენიმე წლის წინათ ქართველი სპეციალისტი ელგუჯა გუგუშვილი მუშაობდა) და უკრაინაში დაბრუნდა. იგი ნაკრების გარდა აშხაბადის კლუბ „ნისას" წვრთნიდა.**

— კონტრაქტი იმიტომ გავწყვიტე, რომ მისი ხელმძღვანელობა ფინანსურ დაპირებას არ ასრულებს, თანაც ამ ქვეყანაში ფეხბურთი არავის აინტერესებს, — განაცხადა ბესონოვმა.

### „არსენალი" დერიპასკას მოელაპარაკება

**ლონდონის „არსენალი", რომელიც კვლავინდებურად სერიოზულ ფინანსურ კრიზისს განიცდის, კვლავ ეძებს სპონსორს რუსეთში. რახან მოლაპარაკებამ „ინტერროსის" პრეზიდენტ ვლადიმირ პოტანინთან ჯერჯერობით შედეგი არ მოიტანა, ლონდონელებმა, გაზეთ „გარდიანის" ცნობით, ყურადღება მიაპყრეს კომპანია „საბაზო ელემენტების" ხელმძღვანელ ოლეგ დერიპასკას.**

ჟურნალ „ფორბსის" ცნობით, ოლეგ დერიპასკა ერთ-ერთი უმდიდრესი კაცია რუსეთში. ოლიგარქების პირველ ათეულში მას მეშვიდე ადგილი უკავია 1,5 მილიარდი დოლარით. (იმავე ჟურნალის ცნობით, რომან აბრამოვიჩი თავისი 5 მილიარდ 700 მილიონი დოლარით მეორეა რუსეთში, ვლადიმირ პოტანინი კი 1 მილიარდ 800 მილიონით, სხვა მონაცემით კი მილიარდ-ნახევრით — მეხუთე).

ძნელი სათქმელია, რა მოჰყვება ამ მოლაპარაკებას, ჯერჯერობით კი „არსენალის" გაჭირვება სატურნირო ცხრილში სულაც არ აისახება — იგი მატჩს მატჩზე იგებს...

### ჩვენ კი არ გვიყვარდა!

**როგორც მოგეხსენებათ, თბილისელ გულშემატკივრებს არ უყვარდათ მოსკოველი მსაჯი ნიკოლაი ლატიშევი, მისი ხელმძღვანელობისგან ესოდენ დაფასებული რომ იყო.**

ლატიშევი 1962 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს მსაჯობდა. 22 ნოემბერს მისი დაბადებიდან 90 წლის შესრულების გამო გადაწყდა ლატიშევის საფლავზე ძეგლის დადგმა, აგრეთვე არბიტრების სემინარის მოწყობა და საერთაშორისო ტურნირის გამართვაც კი... მსაჯთა შორის...

### რონალდო და ზიდანი — სიღატაკის წინააღმდეგ

**16 დეკემბერს „სანტ-იაკობის" სტადიონზე გაიმართება საქველმოქმედო მატჩი, სადაც „რონალდოს მეგობრები" „ზიდანის მეგობრებს" დაუპირისპირდებიან.**

ეს მატჩი, რომლის გუნდების კაპიტნები მადრიდის „რეალის" მოთამაშეები არიან, ფიფას ზეიმის პროგრამაში შედის. მან მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი უნდა გამოავლინოს, მატჩის მთელი შემოსავალი კი ღარიბებისათვის დასახმარებელ ფონდს გადაეცემა. მსაჯად მსოფლიოში საუკეთესო არბიტრი პიერლუიჯი კოლონა მიიწვიეს.



## ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად







## ვინ მიიღებს გამოწვევას?

უკვე გაუწყეთ, რომ ახლახან აშშ-ს ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ედისონში დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ხუთმა ქართველმა ათლეტმა ფურორი მოახდინა და ექვსი მედალი მოიპოვა (5 „ოქრო" და 1 „ვერცხლი"). ჩვენებურთა ასეთი ტრიუმფის საპასუხოდ მასპინძლებმა ზემძიმე წონაში ორმეტრიანი გოლიათი შონ ლატიმერი დაგვიპირისპირეს, რომელიც 180 კილოგრამს იწონის. მან წოლჭიმში 363 კილოგრამი აჭიმა და მსოფლიო აბსოლუტური რეკორდი დაამყარა, რითაც ერთგვარი რევანში აიღო.

ბუნებრივია, ასეთი მაღალი დონის ათლეტებთან ღირსეულ მეტოქეობას ახალი ფორმაციის სპორტსმენთა მომზადება ესაჭიროება. ქართული ათლეტიზმის მომავალს ზემძიმე წონაში სპეციალისტები თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაკრები გუნდის კაპიტანს **რამაზ თარაშვილს** (მეტსახელი „ბიზონი") უკავშირებენ. იგი 21 წლისაა და წელს დაამთავრა თსუ მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტი.

გთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს რამაზ თარაშვილის შესრულებით.

**ფეხის კუნთების ვარჯიშები:**

**1. ჩაჯდომა, შტანგა მკერდთან (სურ. 1).**

**2. ჩაჯდომა, შტანგა ბეჭებზე ზურგიდან (სურ. 2).**

ამ ვარჯიშებს ეთმობა 6-6 მისვლა 4-4 გამეორებით.

**მკერდის კუნთების ვარჯიშები:**

**3. წოლჭიმი საშუალო ჭიდით (სურ. 3).**

სრულდება 8 მისვლა 6-6 გამეორებით.

**წელის და ზურგის კუნთების ვარჯიში:**

**4. ზნექი ჯდომში (სურ. 4).**

**5. ზნექი დვირზე (სურ. 5).**

ამ ვარჯიშებს ეთმობა 6-6 მისვლა 6-6 გამეორებით.

**6. შტანგის ამოწევა განიერი ჭიდით (სურ. 6).**

სრულდება 6 მისვლა 4-4 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**

თორღვა მაზრაქველიძის ფოტო.













გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## პატრიოტი

# ფიცგაუტეხელი

**ჩვენი სამშობლოს „მცირე ოქროს ხანის“ — საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921 წ.წ.) ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავია ტრაგიკული ბედის მქონე პიროვნებას, გამოჩენილ მხედართმთავარს, გენერალ გიორგი ივანეს ძე მაზნიაშვილს, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა ერისა და ქვეყნის თავდაუზოგავი სამსახურის საუკეთესო მაგალითია. ფასდაუდებელია ფიცგაუტეხელი მხედართმთავრის დამსახურება საქართველოს საზღვრებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში. გენერალ გიორგი მაზნიაშვილის უშუალო ხელმძღვანელობითა და აქტიური მონაწილეობით შესაძლებელი გახდა, აფხაზეთის, სამცხე-ჯავახეთის, აჭარის დაცვა საქართველოსადმი მტრულად განწყობილი აგრესიული ძალებისაგან. გენერალ მაზნიაშვილის სახელთანაა დაკავშირებული ძირძველი ქართული ტერიტორიების მიმართ დაშნაკური სომხეთის მტაცებლური გეგმების ჩაფუშვა. ქართულმა ჯარმა მამაცი მხედართმთავრის სარდლობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა აგრესორ მეზობელზე.**

1920 წლის ოქტომბერში გენერალი მაზნიაშვილი დაჰყვა ნოე ჟორდანიას თხოვნას და იგი დანიშნეს თბილისის რაიონისა და ქალაქის გარნიზონის უფროსად. მძიმე დღეები დაუდგა ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს 1921 წლისათვის. მიუხედავად იმისა, რომ 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, წითელი იმპერია გამალებით ემზადებოდა საქართველოს დასაპყრობად. ავისმომასწავებელი შავი ღრუბლებით მოიქუფრა ქართული ზეცა. ნოე ჟორდანიამ დამფუძნებელი კრების სხდომაზე განაცხადა: „მოქალაქენო! პოლიტიკური ღრუბლები ჩვენს ირგვლივ კვლავ აირივნენ. საბჭოთა რუსეთის მოსაზღვრეობა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისათვის თანდათან მუქარა ხდება“.

საბჭოთა რუსეთის ჯარებმა ყოველი მხრიდან შემოუტია საქართველოს. ევროპამ არაფერი იღონა წითელი ბარბაროსებისაგან საქართველოს დასაცავად. ამ საბედისწერო ჟამს ნოე ჟორდანიას თხოვნით გენერალი გიორგი მაზნიაშვილი შეუდგა თბილისის რაიონისა და ქალაქის გარნიზონის უფროსის მოვალეობის შესრულებას. 1921 წლის თებერვალში იგი სოღანლუღის დაჯგუფების სარდალია. ვეება მონსტრთან უთანასწორო ბრძოლაში გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად, პატარა საქართველო დამარცხდა.

ამ უმძიმესი ვითარების ჟამს საქართველო თურქეთის მხრივ ოკუპაციის საფრთხის წინაშე იდგა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ბათუმის მიმართულებას, სადაც ამ დროს უკვე დათარეშობდნენ თურქი ასკერები. უდიდესია გენერალ მაზნიაშვილის დამსახურება 1921 წელს ქალაქ ბათუმის და აჭარის რაიონების თურქებისაგან განთავისუფლების საქმეში. ბათუმის რევკომმა ქართველ გენერალს თხოვნით მიმართა მის დაქვემდებარებაში მყოფი ძალებით გაენთავისუფლებინა ქალაქი. ქართულმა ჯარმა გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ქალაქი დაიკავა. პატრიოტი გენერალი სერგო ორჯონიკიძეს წარუდგინეს. ორჯონიკიძეს მისთვის უთქვამს: „თქვენ იცით, რომ თქვენ კანონგარეშე იყავით გამოცხადებული და თქვენთან შეხვედრის დროს ყველა კომუნისტს ჰქონდა უფლება მოეკალით იქვე, ალაგობრივ, მაგრამ მხედველობაში ვიღებ თქვენს მოქმედებას ბათუმში გადატრიალების კრიტიკულ მომენტში და გეპატიებათ ყველა მოქმედებანი, რომელიც ჩაიდინეთ თქვენ მენშევიკების ბატონობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ!“ გენერალი, რომელსაც სამშობლოს ერთგული სამსახურის მხედრული ფიცი ჰქონდა დადებული, ორჯონიკიძის ამ ბრალდებას უსაფუძვლოდ მიიჩნევდა. „მოგონებებში“ ამ საყვედურით გულნატკენი გენერალი წერდა: „ვერ წარმომედგინა, როდის და რა ბოროტმოქმედების ჩადენა შემეძლო ვისიმე წინააღმდეგ. მე ხომ როგორც ჯარისკაცი ვემსახურებოდი პატიოსნად და გულმოდგინედ ჩემს მთავრობას“.

1921 წლის 6 აპრილს გენერალი მაზნიაშვილი როგორც სამხედრო საქმის უბადლო პროფესიონალი, დაინიშნა ქართული წითელი არმიის დივიზიის მეთაურად, ხოლო იმავე წლის ივლისში — წითელი არმიის ინსპექციის ინსპექტორად. ბრძოლების ქარცეცხლში გამობრძმედილი მხედართმთავარი, ვითარცა საქართველოს გენერალი, მამულიშვილურ მოვალეობად მიიჩნევდა სამშობლოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურს. აკი კიდევაც განუცხადა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელს თენგიზ ჟღენტს: „თუ საქართველოს ახალი ხელისუფლება ბოროტად არ ჩაგვითვლის სამშობლოს სამსახურს მენშევიკების ბატონობის დროს და მოგვცემს გარანტიას, რომ არც ერთი ჯარისკაცი, გენერლიდან მოყოლებული უბრალო მეომრამდე, უწინდელი სამსახურისათვის არ იქნება დასჯილი, მე მზად ვარ განვაგრძო სამსახური“...

საბჭოთა ხელისუფლებამ ურცხვად დაივიწყა გენერლისათვის მიცემული პირობა, მისი დამსახურება თურქებისაგან აჭარის განთავისუფლების საქმეში და ღვაწლმოსილ მხედართმთავარს დანაშაულად ჩაუთვალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში სამსახური, ეჭვის ქვეშ დააყენა მისი ერთგულება ახალი რეჟიმისადმი და გენერლის დაპატიმრების განკარგულება გასცა.

საქართველოს ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მუხანათობით აღშფოთებულმა ტუსაღმა გენერალმა საპროტესტო წერილი გაუგზავნა საბჭოთა საქართველოს ჯარების სამხედრო კომისარს თენგიზ ჟღენტს. ვფიქრობთ, ქართველი საზოგადოებრიობისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება გაეცნოს ამ წერილს, რომელიც საქართველოს უახლოესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივშია დაცული. და ახლა პირველად ქვეყნდება:

**„დავიღალე სამართლის ძებნაში. 15 თვეა, რაც ციხეში ვზივარ და კიდევ ოთხი წელიწადი უნდა ვიჯდე. ასე ნელნელა, მაგრამ შეუწყვეტლად უნდა მიჭრეს ჩემი სიცოცხლე აღსავსე ტყვეობის ზნეობრივი და ფიზიკური ტანჯვითა და თან ამავე ტემპით უნდა ვანადგურო და ვაქციო ჩემი ოჯახი ნივთიერად და მორალურად, რომ ყველა ეს უბედურება — დამსახურებული დაფასება შედეგი იყოს ჩემი რაიმე დანაშაულისა და ბოროტმოქმედებისა. ჩემი ხასიათის სიმტკიცე მეყოფოდა, რომ ყოველივე ეს უსიტყვოდ ამეტანა რამენაირად და არავითარი ნაბიჯი არ გადამედგა ჩემი ბედის შესამსუბუქებლად, მაგრამ როდესაც არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის არც მთავრობისა და არც საზოგადოების წინაშე, როდესაც პირიქით, ყოველივე ჩვენგანის მოვალეობა პირნათლად შემისრულებია, როდესაც ამის საპასუხოდ პატივაყრილი და სახელგატეხილი ციხეში ვარ ჩაგდებული, იქ ვლევ ჩემს დღეებს, აბა როგორ არ ვეძიო სამართალი, როგორ არ მოვიარო კარდაკარ ყოველი ისეთი პიროვნება, რომელიც თავის მდგომარეობით იზიარებს მთავრობის ორგანოების ყოველ სანქციას და მოქმედებას?! ამ აზრთა პყრობილი თქვენაც გაუწყებთ ჩემს მდგომარეობას, თქვენთანაც მოვდივარ სამართლის საძებნელად, მით უმეტეს, რომ თქვენ უფრო მოვალე ხართ ყურადღება მომაქციოთ იმ სიტყვის შემდეგ, რომელიც ბათომის რევკომის სახელით 1921 წლის მარტის თვრამეტს მე და მთელ ქართველ ოფიცრობას მოგვეცით, რომლის ძალით არც ერთი ჩვენთაგანი წარსული მოქმედებისათვის გასამართლებული არ უნდა ყოფილიყო და განა იგევე არ იყო დეკრეტი № 1-ით თქმული საჯაროდ?! უფრო კერძოდ, განა ს. ორჯონიკიძემ იმავე წლის (1921 წ.) 25 მარტს, როდესაც უკვე ოსმალთა ჯარები გავანადგურე და ბათომის მფლობელობა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას განვუმტკიცე,**



**არ მითხრა, რომ ასეთი ბრწყინვალე სამხედრო მოქმედებისათვის და ახალი მთავრობის წინაშე დამსახურებისათვის მე მეპატიებოდა ყოველი მანამდე ჩადენილი მოქმედების პასუხისგება. ჰოდა, როდესაც დღეს ციხეში ვსნეულდები მე პირადად, ხოლო ოჯახი იტანჯება მატერიალურად და ზნეობრივად სწორედ იმიტომ, რომ დანაშაულად ჩამითვალეს ჩემი წინანდელი მოქმედებანი, როდესაც როგორც ქართული ჯარის სარდალი ვებრძოდი რუსეთის ჯარს და ვიცავდი ჩემი სამშობლოს მიწა-წყალს, როგორ არ უნდა მოგაგონოთ ან თქვენ ან ს. ორჯონიკიძეს მოცემული სიტყვები, ან მთავრობას მისი დეკრეტი № 1?! რად მოხდა, რომ ყველამ დაივიწყა თავისი სიტყვა და მოვალეობა, რომ მე გამხადეს უდანაშაულო მსხვერპლად. ან იქნებ სხვა დანაშაული ჩავიდინე საქართველოში დამყარებული ახალი ხელისუფლებისადმი? მაგრამ ამ შემთხვევაში რათ აუხვიეს გვერდი დამნაშავის დაკითხვას? რათ წარუკვეთეს მას წინასწარი საშუალება მოწმეების დასახელების და ყოველი წამოყენებული ბრალდების გაბათილებისა? ვაცხადებ კატეგორიულად, რომ არც ერთი ბრალდება, რომელიც რეზოლუციაშია წამოყენებული და რომელთა მიხედვით სიკვდილი მომესაჯა — შემდეგ ამნისტიით ხუთი წლით საპყრობილეზე შეცვლილი, — ჩემთვის არ წამოუყენებიათ, არც ერთის გამო არ დავუკითხავართ. ნახეთ არქივი და დარწმუნდებით, ამგვარად, თუ წარმოიდგენთ, რომ ჩემი დასჯა მოხდა იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩამიდენია საქართველოს საბჭოთა მთავრობის ხელში, ამას ხომ დამტკიცება უნდოდა, ამისათვის ხომ უნდა დავეკითხეთ და ხომ უნდა დაეკითხათ ის პირნიც, რომელთაც მე დავასახელებდი ჩემი უფლების და სიმართლის დასაცავად. ვინაიდან არც ერთის და არც მეორეს ადგილი არ ჰქონია, ამიტომ ამგვარი „დანაშაულისათვის“ დასჯილი ადამიანის განთავისუფლებას და სრულს რეაბილიტაციას მოითხოვს თვით მთავრობისა და მისი ყოველი წევრის პრესტიჟი. მაგრამ მე მგონია, ამ ბრალდებათ მხოლოდ უფასო დამატების ხასიათი აქვთ, რაკი მათ შესახებ არ დაუკითხავართ. ისინი ჩემი დასჯის მოტივაციის როლს არ თამაშობენ და ბრალდებათა შორის გამოძიება, დაკითხვა და მოწმეები არ ესაჭიროებოდა მხოლოდ ერთ მუხლს — თუ საერთოდ შესაძლოა ამგვარი პროცედურით ადამიანის დასჯა-გასამართლება, — ეს მუხლია ჩემი ბრძოლა საბჭოთა რუსეთის ჯარების წინააღმდეგ. ეს ფაქტი ცნობილია, ამას არ უნდა ფიცი, მაგრამ როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ეს ხომ მრავალგზის ნაპატიები მქონდა, უწინარეს ყოვლისა, დეკრეტით და მერე თქვენი და ს. ორჯონიკიძის სიტყვებით. ამგვარად, არ არის დანაშაულის ელემენტი ჩემს დასასჯელად. ეს მდგომარეობა წერილობით თუ სიტყვიერი განცხადებით გავაცანი სხვადასხვა პასუხისმგებელ პირს და საბუთი მაქვს, რომ ისინი დავარწმუნე კიდეც ჩემს უდანაშაულო დასჯაში. ამიტომაც თქვენც მოგახსენებთ ახლა ყოველივეს და გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ ჩემი რეაბილიტაციის და განთავისუფლების საქმეში. გაქვთ საშუალება საქმეს და ყველა მასალას გაეცნოთ და მით დარწმუნდეთ მოთხრობილის სისწორეში და მითივე ჩემს უდანაშაულობაში და როცა ეს აზრი შეგიდგებათ, კეთილი ინებეთ, დამიდექით თავდებით და გამანთავისუფლეთ, რათა საშუალება მომეცეს ჩემი სახელის რეაბილიტაციისა იმავე დაწესებულებაში და იმავე გზით, რა დაწესებულებებმა და რა გზამაც მას მოსცხო ჩირქი.**

**გიორგი მაზნიაშვილი“.**

ეს წერილი 1922 წლის 14 დეკემბერს წარედგინა სამხედრო კომისარს თენგიზ ჟღენტს. წერილს ახლავს მამია ორახელაშვილისა და ფილიპე მახარაძის რეზოლუცია: „პატიმრობა შეეცვალოს შემდეგში გადასახლებით“. ამ რეზოლუციის გარდა ტუსაღი გენერლის წერილს ადევს აგრეთვე რეზოლუცია „განთავისუფლებულ იქმნეს. ს. ორჯონიკიძე“.

განთავისუფლების შემდეგ სამშობლოში უსამართლოდ შერისხული გენერალი ერთხანს პარიზში ცხოვრობდა, სადაც უკიდურეს გაჭირვებაში მყოფს ბედი მორიგ განსაცდელს უმზადებდა. მის წინააღმდეგ ააგორეს და გაავრცელეს შავი პიარი, რომლითაც მას ბრალად ედებოდა 1924 წლის აჯანყების გაცემა. ტიტანური ძალისხმევისა და ნერვების დაძაბვის ფასად დაუჯდა სამშობლოს სამსახურში დამაშვრალ მხედართმთავარს ამ ცილისწამების გაბათილება, საკუთარი ღირსების დაცვა.

სიცოცხლის ბოლო წლები ქედუხრელმა გენერალმა სამშობლოში გაატარა. გიორგი მაზნიაშვილი ბოლომდე ერთგული დარჩა ერისა და ქვეყნის წინაშე დადებული მხედრული ფიცისა. სამშობლოს დაცვა, ქვეყნის სამხედრო ძლიერებასა და საზღვრების უსაფრთხოებაზე ზრუნვა გახლდათ ფიცგაუტეხელი მხედართმთავრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი მიზანი. როდესაც მას სერგო ორჯონიკიძემ დანაშაულად ჩაუთვალა მენშევიკურ არმიაში სამსახური, გენერალმა ამაყად უპასუხა: „მე არც მენშევიკების გენერალი ვარ და არც ბოლშევიკებისა, მე საქართველოს გენერალი ვარ“.

ავადსახსენებელ 1937 წელს გენერალი დააპატიმრეს და დახვრიტეს. რეპრესიებს ვერც მისი ოჯახი გადაურჩა. ასე „დაუფასა“ ამაგდარ მამულიშვილს ამაგი საბჭოთა ხელისუფლებამ.

გამოჩენილმა მხედართმთავარმა, რომელმაც „სახელითა ქმნა სახელი“, გაიზიარა მრავალი ქართველი პატრიოტის ტრაგიკული ბედი. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მაგალითად უნდა იქცეს ყველასთვის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული. ვფიქრობთ, დადგა დრო, რათა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ იზრუნოს მხედართმთავრის ხსოვნის უკვდავსაყოფად. უპრიანი იქნება დაიდგას გენერალ მაზნიაშვილის ძეგლი თბილისში, მის მიერ თურქთაგან განთავისუფლებულ ბათუმში, მის მშობლიურ კასპის რაიონში. სასურველია გადავიღოთ ფილმი ლეგენდარული მხედართმთავრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქართული ჯარის ერთ-ერთ მოწინავე შენაერთს ეწოდოს გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელი.

**გურამ შენგელია,**
**პროფესორი;**
**თეიმურაზ ზურმუხტაშვილი,**
**საქართველოს უახლესი ისტორიის არქივის დირექტორი.**

## მიწა ჩვენი მარჩენალი

# გადასახადი და გადამხდელი

**— მიწის გაყიდვის დროს მყიდველმა მომთხოვა საჯარო რეესტრიდან ამონაწერი მიწის საკუთრების შესახებ. გთხოვთ განმიმარტოთ, რას ნიშნავს და საიდან უნდა ავიღოთ ეს ამონაწერი?**

**ომარ ვაშალომიძე,**
**დედოფლისწყარო.**

— მიწის კანონიერად მფლობელი პირი ვალდებულია თავისი მიწა (უძრავი ქონება) გაატაროს საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში რეგისტრაცია ნიშნავს, რომ თქვენ ხართ ამ მიწის კანონიერი მესაკუთრე და მიწის გაყიდვის შემთხვევაში უნდა მიმართოთ შესაბამისი რაიონის (ქალაქის) მიწის მართვის სამმართველოს, რომელიც ვალდებულია (იმ შემთხვევაში მხოლოდ, თუ თქვენი მიწა რეგისტრირებულია) მოგცეთ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის საკუთრების შესახებ, რისთვისაც თქვენ გადაგახდევინებენ 2 ლარს.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერი წარმოადგენს ერთ-ერთ საფუძველს მიწის გაყიდვის პროცედურის წარმოებისათვის. გასათვალისწინებელია, რომ საჯარო რეესტრიდან ამონაწერს იურიდიული ძალა აქვს მხოლოდ გაცემიდან ერთი თვე.

* * *

**— გთხოვთ, განგვიმარტოთ: რას ნიშნავს მიწის რეგისტრაცია და არის თუ არა აუცილებელი ეს პროცედურა?**

**თამაზ ორაგველიძე,**
**თბილისი.**

— 1996 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მიწის რეგისტრაციის შესახებ. ამ კანონის მიღებამდე, ფიზიკური პირების, კომლების (ოჯახების) სარგებლობაში არსებული მიწები აღირიცხებოდა საკომლო წიგნში, ზონარგაყრილ ჟურნალში და მიწის ბალანსში. ამჟამად საკუთრებაში და სარგებლობაში არსებული მიწები აღირიცხება შესაბამისი რაიონის (ქალაქის) მიწის მართვის სამმართველოს რეგისტრატურაში.

მიწის რეგისტრაცია გულისხმობს მიწის ნაკვეთისა და მასთან უძრავად დაკავშირებული ქონების საზღვრების, რაოდენობრივი, თვისებრივი და სამართლებრივი მდგომარეობის აღწერა-რეგისტრაციას სახელმწიფოს მიერ. მიწის რეგისტრაციის დროს საჯარო რეესტრში აღინიშნება ნაკვეთის ფართობი, საზღვრები, ადგილმდებარეობა, ნაკვეთის დანიშნულება და ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებები. აღსანიშნავია, რომ მიწის რეგისტრაციასთან ხდება მიწასთან დაკავშირებული უძრავი ქონებისა და სანივთო უფლებების რეგისტრაცია, მიწის ყიდვა-გაყიდვა, იჯარით აღება, იპოთეკა, უზუფრუქტი და სერვიტუტი იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ საჯარო რეესტრში მისი რეგისტრაციის შემდეგ. ყველა სხვა შემთხვევაში ასეთ ქმედებებს არა აქვს იურიდიული ძალა და ის ბათილია.

**ანზორ მესხიშვილი,**
**საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიწის რეფორმისა და საადგილმამულო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ჩვენს გარშემო

# მსახურთუხუცესი, რომელმაც მსოფლიოში ყველაზე უფრო პოპულარული ქალის საიდუმლო გათქვა

**დიდი ბრიტანეთის დედოფლის, უელსის პრინცისა და პრინცესა დაიანას ყოფილმა მსახურთუხუცესმა პოლ ბარელმა დაწერა წიგნი, რომელიც გამოჩენისთანავე სკანდალურად პოპულარული გახდა, რადგან დაიანას და მეფის კარის ცხოვრების ყველასგან დაფარული და უცნობი დეტალები გამოიტანა მზის სინათლეზე. ინფორმაცია ამის თაობაზე ჩვენს გაზეთში ამას წინათ გამოქვეყნდა. ახლა კი ზოგი რამ უფრო დეტალურად.**



პოლ ბარელი.

## ვინ არის პოლ ბარელი?

ეს კაცი ინგლისის ქალაქ გრასმურში დაიბადა 1958 წელს. დაიანა სპენსერი მან მეფისწულ ჩარლზთან ნიშნობის წინ გაიცნო. პატარძლის თხოვნით 1988 წელს იგი ჰიგრუვის მამულის მსახურთუხუცესი გახდა, 1996 წელს გადასახლდა კენსინგტონის სასახლეში, როცა დაიანა და ჩარლზი გაიყარნენ. ელისაბედ მეორის თქმით, იგი ერთადერთი სპენსერების არანათესავი ადამიანი იყო, რომელიც, დაიანას დაკრძალვას ესწრებოდა მათს საგვარეულო მამულ ალტორპში. დედოფალმა პოლი სპეციალური მედლითაც კი დააჯილდოვა ერთგული სამსახურისათვის. „დაიანას საიდუმლო ამბები ჩემთან ერთად მოკვდება, — განაცხადა მან მაშინ, — მე არასოდეს გამოვიყენებ იმ ცნობებს, რომელთაც გამანდობდნენ“.

ექვსი წლის შემდეგ კი იმ ადამიანმა, ვისაც დაიანა უწოდებდა „შეუვალ კლდეს“ და ერთადერთ მამაკაცს, ვისაც, შეიძლება, ენდო“, დაწერა სენსაციური განცხადებებით დატვირთული წიგნი, რომელიც საკუთარ დაკვირვებებსა და დაიანას პირად წერილებზეა დაფუძნებული.

## გვირგვინი ვარდისფერ ფაჩუჩებში

აი, ერთი შემთხვევა პოლ ბარელის იმდროინდელი ცხოვრებიდან, როცა იგი დიდი ბრიტანეთის დედოფლის ლაქია იყო ბუკინჰემის სასახლეში:

„ჩემს თვალებს არ ვუჯერებდი. ღრმად ჩაფიქრებული დედოფალი სასახლის ოთახში იჯდა, და თავი უცებ რომ ასწია, ჩემი გაკვირვებული მზერა „დაიჭირა“.

— რატომ იღიმები, პოლ? — მკითხა ეშმაკური ინტონაციით.

— თქვენ რომ იმას ხედავდეთ, რაც მე დავინახე, თქვენო უდიდებულესობავ... — ვთქვი მე. ორთავეს გაგვეღიმა. გვიანი ღამე იყო. ძილის დრო. იგი, აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი, ფანჯრის მახლობლად პატარა მაგიდას მისჯდომოდა და წერილებს ათვალიერებდა. თავზე იმპერიის გვირგვინი ედგა. ფეხზე კი ვარდისფერი ფაჩუჩები ეცვა. გამაოგნებელი სანახაობა იყო — დიდი ბრიტანეთის დედოფალი გვირგვინით და ფაჩუჩებით, რაც ერთდროულად აღიქმებოდა, როგორც დიდებულება და ოჯახური მყუდროება, ნამდვილი ძალაუფლება უცერემონიოდ.

მის მოსასვენებელ ოთახში მოულოდნელად შევედი, მხოლოდ იმის სათქმელად, რომ 9 მისი საყვარელი სამეფო ლეკვი ჩავაწვინე მათს საწოლებში წითელნოხგადაფარებული დერეფნის ბოლოს.

დედოფალი ფაჩუჩებში ხშირად მინახავს, მაგრამ ამასთან — ბრიტანეთის იმპერიის გვირგვინით თავზე, — არასოდეს. მეორე დღეს ოფიციალურად უნდა გახსნილიყო პარლამენტის სესია, რომელზეც, ტრადიციისამებრ, სიტყვას წარმოთქვამს დედოფალი, ყველა თავისი რეგალიით შემკობილი. და დედოფალი, როგორც ყოველთვის, გვირგვინის სიმძიმეს რომ მიეჩვიოს (იგი ერთ კილოგრამს იწონის), წინა დღეს თავზე იდგამს ხოლმე მას.

— რამეს ხომ არ მიბრძანებთ, თქვენო უდიდებულესობავ? — ვკითხე.

— არა, გმადლობთ, პოლ, — მითხრა მან, თავი ოდნავ დახარა და წერილების კითხვა განაგრძო.

ეს იყო და ეს. სხვა დროს არასოდეს მინახავს გვირგვინოსანი დედოფალი მის აპარტამენტებში. ასეთი რამ მხოლოდ ერთხელ ხდება“.

## ვინ სტუმრობდა პრინცს?

პრინცესა შვილებთან ერთად კვირის მანძილზე ლონდონში იყო, კენსინგტონის სასახლეში, კვირის ბოლოს კი ქალაქგარეთ, მამულში მიდიოდა. საკუჭნაოში ინახებოდა დღიური, რომელშიც იწერებოდა პრინცის ყველა დავალება და, აგრეთვე, — მომსვლელები. მაგალითად, წითელი ფლომასტერით გაკეთებული ჩანაწერი ნიშნავდა, რომ ჩარლზი რეზიდენციაში მარტო იმყოფება, მწვანე — პრინცესას ყოფნაზე მიგვანიშნებდა, „ბ“, რომ ბავშვები — მეფისწულები უილიამი და ჰარი იყვნენ საუქმედღეოდ ჩამოსულები. მსახურთუხუცესი სკრუპულოზურად ჩაინიშნავდა პრინცის ყველა სტუმარს. ეს მას წესრიგისა და მაგიდის გაწყობის გასამარტივებლად სჭირდებოდა: თუ სადილისთვის ოთხ სტუმარს ელოდნენ, მსახურებს უნდა სცოდნოდათ, მათ შორის რამდენი იქნებოდა ქალი, რამდენი — მამაკაცი, რადგან ქალებისთვის კაცებისგან განსხვავებული ჭურჭელი და დანა-ჩანგალი უნდა დაელაგებინათ.

„მე არასოდეს მეგონა, რომ ეს აწყობილი სისტემა უსიამოვნებას შეგვყრიდა“, — წერს პოლი. 1988 წლის გაზაფხულზე, როცა დღიურის გვერდი წითელი ფლომასტერით იყო ჩამოხაზული, პრინცი ხშირად იწვევდა სტუმრებს: „ლანჩი: მისი უმაღლესობა, მისის კამილა პარკერ-ბოუელსი, მისტერ ნილ ფოსტერი და მისტერ ვერნონ რასელ-სმითი“; „ვახშამი: მისტერ და მისის ოლივერ ჰოარი და მისის კამილა პარკერ-ბოუელსი“...

იმავე წლის აგვისტოში პრინცმა გამოიძახა მსახურთუხუცესი და ჰკითხა:

— პოლ, მითხარი, გეთაყვა, როგორ შეიტყო პრინცესამ, ვინ მეწვია გასულ კვირაში?

„წარმოდგენაც არ მქონდა არაფრის, — იხსენებს ბარელი, — სტუმრების შესახებ პრინცესასთვის არაფერი მითქვამს, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ პრინცესას შეეძლო ჩაეხედა ჩანაწერებში, ჩემთან ბუფეტში რომ შემოირბენდა, მაშინ, ან მალულად წაიკითხავდა თავიდან ბოლომდე. ჩარლზმა მკაცრად შემომხედა და ამიკრძალა იმ სტუმრების გვარების ჩაწერა, ვისაც იგი მოიწვევდა. მას შემდეგ სარეგისტრაციო წიგნში ჩავნიშნავდით ხოლმე: „ლანჩი — ექვსი ადამიანი“ და არცერთი გვარი“.

ერთ-ერთ წერილში, რომელიც დიდი ბრიტანეთის ახლანდელი მმართველი დედოფლის ელისაბედ მეორის მეუღლის, ედინბურგის ჰერცოგის მიერ არის ხელმოწერილი, ნათქვამია, რომ „ჩარლზი დიდი იდიოტი იქნება, თუ დაიანას კამილას გამო მიატოვებს“...



პრინცი ჩარლზი.

რა თქმა უნდა, დაიანა ეჭვიანობდა და მსახურებიც ხვდებოდნენ, რა ხდებოდა მეუღლეთა შორის. პრინცესა სულ უფრო იშვიათად ხვდებოდა პრინცს, და ამ იშვიათი შეხვედრების დროსაც კი მათ ესმოდათ მათი ხმამაღალი ლაპარაკი კამათის ტონალობაში, კარების გაჯახუნება.

„ერთხელ შევედი სასადილო ოთახში და სრული ქაოსი დამხვდა, — ვკითხულობთ ბარელის წიგნში, — სულ რამდენიმე წუთის წინ გავაწყვეთ სუფრა პრინცისა და პრინცესასთვის. სასმისები წაექციათ და გაეტეხათ, სანელებელი და მარილი სუფრაზე დაებნიათ, მთელი თეთრი სუფრა წყლით დაესველებინათ... პრინცი რაღაცას კრეფდა იატაკიდან. „მკლავი მაგიდას გავკარი და ყველაფერი გადავატრიალე“, — უნებურად იცრუა. პრინცესა არსად ჩანდა...“

მომსახურე დიასახლისი ხშირად ღიზიანდებოდა იმის გამო, რომ ჩარლზი შეუკვეთავდა თითქმის მთელი ღამის სამყოფ შეშას ბუხრისთვის და თვითონ კი სადღაც გაქრებოდა საკუთარი მანქანით, — ტყუილად იწვებაო შეშა, — ბუზღუნებდა ხოლმე. დილით კი გაირკვეოდა, რომ მანქანას გაევლო 22 მილი — 11 — იქით, 11 — უკან. ზუსტად 11 მილი იყო კამილა პარკერ-ბოუელსის რეზიდენციამდე.

დაიანამ ბოლოს და ბოლოს ვერ გაუძლო და დაუპირისპირდა ქმარს, როცა ერთხელ ბარელს ჰკითხა, სად იყო მისი ქმარი წინა ღამით. ბარელი შეეხვეწა, არ დაესვა მისთვის ასეთი შეკითხვა, თვითონ გაეგო ჩარლზისაგან — სად იყო და სად — არა.

მეორე დღეს ჩარლზმა იფეთქა და ბარელს საიდუმლოების გაცემა დააბრალა. მან ბარელს წიგნი ესროლა, ყვიროდა, რომ რანგისა და მისი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, მან პრინცის სახელით უნდა იცრუოს. „დიახ, — იყვირა მან, — მე ვარ უელსის პრინცი, დიდი ბრიტანეთის მომავალი მეფე. თქვენ კი უნდა იცრუოთ, — დიახ! დიახ!“

## პრინცესას ხელის მთხოვნელი ცხრა მეგობარი

ყველასთვის აღმოჩენასავით იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაიანას ცხრა „მეგობარი-ჯენტლმენი“ ჰყავდა, მათ შორის, ჰოლივუდის ვარსკვლავი, ბრიტანული სპორტის ლეგენდა, ცნობილი პოლიტიკოსი, ცნობილი მუსიკოსი, მილიარდერი, იურისტი და მწერალი. დაიანა თავის მსახურთუხუცესთან ერთად იცინოდა, რომ მისი ხელისა და გულის მთხოვნელები აგონებდნენ იპოდრომს, სადაც ცხენები ცდილობდნენ ერთმანეთისთვის გაესწროთ. ცხენები მიჰქროდნენ, პრინცესა და მისი მსახურთუხუცესი კი მათ ქულებს ურიგებდნენ.

— ზოგჯერ სიცილით მეტყოდა, იპოდრომზე დიდი სივიწროვეაო, — იხსენებს ბარელი.

„89-ის ზაფხულში იგი მოვიდა ჩემთან ბუფეტში, სადაც მისთვის თეთრი შოკოლადი მქონდა ხოლმე შენახული და მითხრა:

— მინდა, დაგავალო ერთი რამ, რაც არავინ, ვიმეორებ — არავინ არ უნდა იცოდეს“.

გაირკვა, რომ პოლი უნდა გამგზავრებულიყო რკინიგზის სადგურში და იქიდან ჯეიმს ჰუიტი მოეყვანა, მისი საყვარელი, რომელმაც შემდეგ გამოაქვეყნა წიგნი „შეყვარებული პრინცესა“.

„მე ვიცოდი, რომ ამ კაცს მის ცხოვრებაში შემოჰქონდა ბედნიერება და სიხარული. მე არ შემეძლო, მისთვის მეღალატა, — წერს ბარელი, — შემდგომ სტუმარ-მამაკაცებთან შეხვედრების მოწყობა ჩემთვის ნორმა გახდა“.

## სიკვდილი

წიგნიდან ირკვევა, რომ პრინცესა სიკვდილამდე 10 თვით ადრეც შეშფოთებას არ მალავდა თავისი უსაფრთხოების გამო, რაც საეჭვოს ხდის ვერსიას „შემთხვევითი ავტოკატასტროფის შესახებ“, რომელსაც 1997 წლის 30 აგვისტოს პარიზთან ერთ-ერთ გვირაბში დაიანას სიცოცხლე ემსხვერპლა. მისი მეგობარი დოდი ალ-ფაიეტიც იმ კატასტროფაში დაიღუპა.

— დაიანა ძალიან ბევრს წერდა, — განაცხადა პოლმა სატელევიზიო ინტერვიუში, — იქნებ იმიტომ, რომ სასახლეში ლაპარაკის ეშინოდა, სადაც ყველაფერი ისმინებოდა.

1996 წლით დათარიღებულ წერილში პრინცესა წერდა: „მე ჩემი ცხოვრების ყველაზე საშინელ ფაზაში შევედი. ახლა ყველაფერია მოსალოდნელი. მაგალითად, ჩემი მანქანის მუხრუჭების მოშლა, რასაც მოჰყვება ავარია და ჩემი სიკვდილი. ეს კი გზას გაუხსნის ჩარლზს, კამილა რომ შეირთოს“.

* * *

**მაშ, რად დაიწერა ეს წიგნი?**

**„მე მქონდა ისტორიული მნიშვნელობის ფაქტები. ისინი ხალხის საკუთრება უნდა ყოფილიყო და იქნება კიდეც, იმ ხალხის, რომელიც ასე უყვარდა დაიანას“, — თქვა პოლ ბარელმა.**

**წიგნის „მეფის მსახურება“ ყდაზე პრინცესას ერთ-ერთი საუკეთესო ფოტოსურათია წარწერით — „პოლს, სიყვარულით, დაიანასაგან“.**

**მან კიდევ ბევრი რამ იცის მსოფლიოში ყველაზე უფრო პოპულარული ქალის ცხოვრებიდან, რომელმაც მას თავისი საიდუმლოება ანდო.**

**მომზადებულია „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ პუბლიკაციის მიხედვით.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

რელიგია და ძალადობა

# ისლამი: კითხვები და პასუხები

**„ბი-ბი-სის“ მიმომხილველი ისლამისა და ახლო აღმოსავლეთის საკითხებში როჯერ ჰარდი უპასუხებს მკითხველთა შეკითხვებს.**

***— გამიგია, რომ ვაჰაბიზმი სათავეებს იღებს ინგლისელი ჯაშუშებისაგან. ანუ, მათ მიიღეს მუსლიმანობა და დაიწყეს თავიანთი კანონების შექმნა.***

— სინამდვილეში ყველაფერი გაცილებით ნაკლებად ეგზოტიკურად გამოიყურება. იმას, რასაც ჩვენ ვაჰაბიზმს ვუწოდებთ, საუდის არაბეთში უნიტარიზმი ჰქვია. იქ ძირითად ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ღმერთი ერთია — განსხვავებით, მაგალითად, ქრისტიანობისაგან, სადაც იგი ასევე ერთია, მაგრამ სამსახოვანი. მოჰამედ იბნ-ვაჰაბი იყო XVIII საუკუნის თვალსაჩინო რეფორმატორი, რომელიც ცდილობდა „ისლამის გაწმენდას“ და ძალზე მნიშვნელოვანი კავშირი დაამყარა იმდროინდელი არაბეთის ერთ-ერთ გავლენიან ტომთან — ალ-საუდთან.

სასულიერო ხელისუფლებისა და მძლავრი საერო ელემენტის სწორედ ასეთი კავშირი უდევს დღემდე საფუძვლად საუდის არაბეთს, როგორც სახელმწიფოს. ასე რომ, ვაჰაბიზმი სინამდვილეში არის სუნიზმის ფორმა, რომელსაც უკავშირებენ ამ რეფორმატორის სახელს. დიდი ბრიტანეთი უფრო მოგვიანებით გახდა საუდელთა მოკავშირე, ასე რომ, ლონდონს არანაირი კავშირი არა აქვს ვაჰაბიზმის წარმოშობასთან.

***— ისლამი ძალზე მკაცრად მართვადი რელიგიაა, რომელშიც არ მოიძებნება ადგილი დაეჭვებული და სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანებისათვის. ამის ნათელ მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ სალმან რუშდისთან დაკავშირებული ისტორია. თუ ისლამის უმაღლესი მღვდელთმსახურები მართლაც შეშფოთებული არიან ტერორიზმის მიზნებისათვის რელიგიის გამოყენების გამო, რატომ არ აღკვეთეს ასეთი რამ ძირშივე? ხოლო თუ ისინი პასიურად ან აქტიურად უჭერენ მხარს ტერორიზმს, რატომ არ კრძალავს დასავლეთი ისლამს?***

— მუსლიმანურ სამყაროში უკვე დიდი ხანია გაჩაღებულია ცხარე კამათი იმის თაობაზე, თუ რატომ გამოდის ამდენი ტერორისტი ისლამური კულტურის მატარებელი ქვეყნებიდან — ნუთუ ეს ქვეყნები წარმოშობენ ან ახალისებენ ტერორიზმს? რა თქმა უნდა, ეს კამათი კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდა 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ.

ზოგიერთები ისლამს ადარებენ ბარაქიან ნიადაგს, რომელზეც შეიძლება ხარობდეს როგორც ლამაზი ყვავილები, ისე საშინელი შხამიანი მცენარეები. ასეთი რთული კითხვა ხშირად ებადებათ თვით მუსლიმანებსაც, მათ შორის საუდელ მუსლიმანებსაც, საიდანაც ამ ცოტა ხნის წინათ დავბრუნდი.

მარტო საუდის არაბეთის მაგალითით შეგვიძლია ერთბაშად რამდენიმე დასკვნის გამოტანა. იქაური მმართველები მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდნენ „გამოეხსნათ თავი“ რადიკალური დაჯგუფებებისაგან — უწინარეს ყოვლისა, „ალ-ყაიდასა“ და უსამა ბენ ლადენისაგან, რომელიც ამ ქვეყნის მკვიდრია. ამისთვის არ იშურებდნენ დიდი ფულადი სახსრების გაღებასაც კი.

პოლიტიკური მიზეზების გამო, ამ ქვეყნის მრავალი მმართველი, მათ შორის პრინცებიც, ცდილობდნენ მორიგების მიღწევას ამ დაჯგუფებებთან, გარანტიის მიღებას, რომ თვით საუდის არაბეთის ტერიტორიებზე არ განხორციელდებოდა ძალადობის აქტები. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ საუდის არაბეთის სამეფოშიც ძალზე ბევრი მომხრე ჰყავს ასეთ რადიკალურ დაჯგუფებებს.

ჰოდა, გამოდის, რომ მოსახლეობის ერთი ჯგუფი, უწინარეს ყოვლისა, — ისტებლიშმენტის წარმომადგენლები, აბსოლუტურად არ იზიარებენ ექსტრემისტთა იდეოლოგიას, მაგრამ უბრალო ხალხის გაცილებით დიდი ნაწილი სხვაგვარად აღიქვამს რადიკალების პოლიტიკას და მხარს უჭერს მას.



თეირანი. ეკლესია ქერიმხან ზენდის ბულვარზე.

ყოველივე ამას უნდა დავუმატოთ მუსულმანებში ძალზე ღრმად ფესვგადგმული ქველმოქმედების ტრადიცია. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ საუდის არაბეთის ყოველ მეჩეთში, ყოველ უნივერმაღსა თუ სუპერმარკეტში იდგა სპეციალური ყუთები, რომლებშიც ყველას შეეძლო ჩაეშვა ფული საქველმოქმედო ორგანიზაციების დასახმარებლად. თუმცა, ახლა ქვეყნის ხელისუფლება ცდილობს უფრო მკაცრი კონტროლი დაუწესოს ცხოვრების ამ მხარეს. მაგალითად, ყუთებზე ხშირად ნახავდით ასეთ წარწერებს: გაჭირვებული ბოსნიელების, ან ჩეჩნების, პალესტინელების დასახმარებლად. არანაირი მტკიცებულება არ არსებობს იმისა, რომ ეს ფული არ ხვდება რადიკალურ დაჯგუფებათა ხელში.

ზოგიერთი მუსულმანი მიიჩნევს, რომ არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ მიიღებს ამ სახსრებს. „ფული გადაერიცხა „ჰამასს“ ისრაელის წინააღმდეგ საბრძოლველად? ჩინებულია“, ამბობენ ისინი.

თუმცა, სხვა მოსაზრების მომხრეებიც არსებობენ. მათ მიაჩნიათ, რომ ფული თუ იყო განკუთვნილი სკოლებისა და საავადმყოფოებისათვის, იგი აუცილებლად მოხვდებოდა იქ.

ჩემი აზრით, ის, რასაც ახლა ვამბობ, ისლამური სამყაროს ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. ხომ არ შეიძლება ასეთი რამის დეკლარირება: ყველა მუსლიმანმა ხელაღებით უნდა დაგმოს ძალადობა.

ისლამურ სამყაროში ახლა იზრდება სიძულვილი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელისადმი — ალბათ, დღეს ეს უფრო მწვავედ იგრძნობა, ვიდრე ოდესმე სხვა დროს. რომელიმე ამ ქვეყნის — ან ორივე სახელმწიფოს — მოწინააღმდეგეები ფულის უკმარისობას არ განიცდიან.

***— რატომ უწოდებთ თქვენ — დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები — ყველა ჯურის კამიკაძეებს ისლამისტ ექსტრემისტებს. თქვენი აზრით, ეს სწორია?***

— ეს დაჯგუფებები ამტკიცებენ, რომ მოქმედებენ ისლამის სახელით — და თუნდაც ამიტომ, უკვე ძალზე რთულია არ მივმართოთ ისეთ გამოთქმებს, როგორიც არის „მუსლიმანური“ ან „ისლამური“.

იქნებ, ჩვენ უფრო ხშირადაც უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ ეს ექსტრემისტები თავს მიიჩნევენ ისლამის ინტერესების დამცველებად. ასეთია მათი პოზიცია, და ამას აკეთებენ არა იმიტომ, რომ გაუსვან ხაზი თავიანთ მუსლიმანობას.

ვფიქრობ, ეს ადამიანები ხშირად მოქმედებენ ძალზე ფართო პოლიტიკური პროცესის ფარგლებში, რომელსაც მუსულმანურ სამყაროში ხშირად უწოდებენ „ისლამისტურ გამოფხიზლებას“. ეს პროცესი ჯერ კიდევ 1970-იან წლებში დაიწყო და ისახავს სხვადასხვა მიზანს, მათ შორის პოლიტიკურ მიზნებსაც.

და სწორედ იმათ შორის, ვინც პოლიტიკაშია დასაქმებული, არიან კიდეც ძალადობის გამოყენების მტკიცე მომხრეები, და, რა თქმა უნდა, ტერორისტებიც. მაგრამ, ჩემი აზრით, სიტყვათა შეთანხმება „ისლამისტი მოთარეშე“ საკმაოდ ნეიტრალურია.

სხვათა შორის, რა სიტყვებიც უნდა შევარჩიოთ, მაინც გაგვაკრიტიკებენ. ისრაელში ჩემთვის არაერთგზის უთქვამთ, რომ „მოთარეშე“ არ გახლავთ ნეიტრალური სიტყვა, მაგრამ მე მუდამ ვუპასუხებდი, რომ ვცდილობ ნეიტრალური გამოთქმების გამოყენებას. ეს იოლი საქმე არ გეგონოთ.

***— ხომ არ გგონიათ, რომ ისლამი რამდენადმე არქაულია — მათი კალენდრით ხომ ახლა სადღაც 1400 წელი უნდა იყოს. იქნებ, ესეც განაპირობებს ისლამისტი ტერორისტებისა და ფანატიკოსების ასეთ სიმრავლეს, რადგან ეს რელიგიის განვითარების ასეთი ეტაპია. ქრისტიანულმა სამყარომ უნდა უკუაგდოს პოლიტკორექტულობა და „ჭეშმარიტების გზაზე დააყენოს“ მუსლიმანები, თორემ ჩვენ თვითონ აღმოვჩნდებით შუა საუკუნეებში. საჭიროა „ცეცხლითა და მახვილით“ ავამაღლოთ მუსლიმანები ჩვენს დონემდე, თორემ ჩვენ დაგვცემენ ისინი თავიანთ დონემდე.***

— ყურადღებით თუ დავუკვირდებით პოლიტიკისა და ტერორიზმთან დაკავშირებულ პრობლემებს, ცხადი გახდება, რომ ისლამური სამყარო დიდად არ გამოირჩევა არაისლამურისაგან, ისევე, როგორც არც ისლამი გამოირჩევა დიდად სხვა დანარჩენი რელიგიებიდან.

რელიგიებისადმი ამა თუ იმ იარლიყის მიწებება არასწორი და დაუშვებელია.

ეს ქრისტიანობასა და იუდაიზმსაც ეხება. როგორც ერთ, ისე მეორე რელიგიაში არიან ექსტრემისტები, რომლებიც იტყვიან, რომ ძალადობა გამართლებულია, თუ მას მიმართავენ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ბევრს ვმოგზაურობ მუსულმანურ ქვეყნებში, და ახლა იქ ცხარე კამათია გაჩაღებული მომავალზე, იმაზე, თუ როგორ უნდა იცხოვრონ შემდგომში.

საქმე ეხება არა მარტო ისლამსა და ძალადობას, არამედ ისლამსა და თანამედროვეობასაც. შეიძლება ერთდროულად იყო მუსლიმანიც და თანამედროვე ადამიანიც? როგორ უნდა მივაღწიოთ ამას? მუსლიმანები ახლა აქტიურად ეძებენ პასუხს ამ კითხვაზე.

ჩემი აზრით, პასუხი მათ დამოუკიდებლად უნდა გამონახონ. თუ ვეცდებით მათ რაიმე ვაიძულოთ, ამით მხოლოდ გაუარესდება სიტუაცია.



## კონტრაქტორების მოწვევა წინასწარი კვალიფიკაციისთვის

კომპანია „BP Caspian“ იწვევს კონტრაქტორებს ტენდერის წინასაკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობისათვის — საქართველოში ნარჩენების განთავსება/მართვის მომსახურების კონტრაქტის გასაფორმებლად. სამუშაო მიზნად ისახავს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, სამხრეთ კავკასიის მილსადენების პროექტებისა და ბაქო-სუფსის მილსადენის პროექტის ფარგლებში ამჟამად მიმდინარე სამშენებლო და საექსპლუატაციო საქმიანობის ხელშეწყობას.

**ნარჩენების განთავსება/მართვის მომსახურების გაწევა**

**სამუშაოს მოცულობა**

სამუშაო გულისხმობს ინფრასტრუქტურის შექმნასა და განვითარებას ნარჩენების განთავსება/მართვის გრძელვადიანი მომსახურების კონტრაქტის ფარგლებში, რომლის ხანგრძლივობა 25 წლამდე ვადით განისაზღვრება. სამუშაოთა მოცულობა სამი ფაზისაგან შედგება:

**ტერიტორიის შესყიდვის ფაზა**

შესყიდვის ფაზაზე მოხდება საკუთრების ან იჯარის უფლების მოპოვება მიწის ნაკვეთზე საგარეჯოში, სადაც მომავალი ნაგებობა უნდა განთავსდეს. **BP** აღნიშნულ მიწის ნაკვეთს მოგვიანებით ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას გადასცემს.

**განვითარების ფაზა**

განვითარების ფაზა გულისხმობს ზემოხსენებული ობიექტის მშენებლობას საგარეჯოში. სამუშაოს დეტალური საპროექტო ნახაზები და ტექნიკური სპეციფიკაციები მომზადებულია ევროკავშირის **(EU)** სტანდარტების საფუძველზე და ხელმისაწვდომია კონტრაქტორებისთვის გასაცნობად. სამუშაო მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ქვემოთ ჩამოთვლილი კომპონენტებით:

- ინფრასტრუქტურა
  - შემოღობილი ტერიტორია
  - მოხრეშილი გზების მშენებლობა შემოღობილი ტერიტორიის შიგნით
  - ოფისების და პერსონალის შენობების მშენებლობა
  - ელექტრომომარაგება, წყალმომარაგება და კანალიზაცია
- ნარჩენთა განთავსების სექცია
  - ნარჩენთა განთავსების სექციის ამოთხრა და მოწყობა
  - გრუნტის დაყრა და დატკეპნა მიწაყრილის კონტურის მოსაწყობად
  - დატკეპნილი თიხის მოპირკეთების მშენებლობა
  - გეომემბრანის მოწოდება და მისი დაგება
  - მოპირკეთების დამცავი საშუალების და ჩამდინარე წყლების შეგროვების სისტემის მოწოდება და დამონტაჟება
- დაცული სასაწყობე მეურნეობა
  - საწყობის შენობა ჩამოსხმულ ბეტონის ფილებზე, თანმხლები სადრენაჟო სისტემით
  - კონტეინერების და ავტოტრანსპორტის სამრეცხაო
  - ნავთობიანი წყლის სეპარატორი შლამის საჭერით
  - ჩამდინარე წყლების გამწმენდი სალექარები
- ობიექტთან მისასვლელის კეთილმოწყობა
  - მისასვლელი გზის შეკეთება
  - რკინაბეტონის ხიდის რეაბილიტაცია (კონტრაქტორის მიერ დაპროექტებული კომპონენტი).

**ექსპლუატაციის ფაზა**

ექსპლუატაციის ფაზა დაიწყება განვითარების ფაზის წარმატებით დასრულებისთანავე, და გულისხმობს ობიექტის ექსპლუატაციას ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით, ISO 14001 სერტიფიკატის მოპოვებას ობიექტის ამუშავებიდან 12 თვის განმავლობაში და ამ სერტიფიკატის შენარჩუნებას კონტრაქტის სრული ვადის განმავლობაში.

**ხარისხის კონტროლი**

პროექტის განვითარების ფაზა დაექვემდებარება მშენებლობის ხარისხის კონტროლს მესამე მხარის მიერ.

**მოთხოვნები**

მოწვევა სამუშაოს მთლიანი მოცულობის შესრულების წინასაკვალიფიკაციო პროცესში მონაწილეობის მისაღებად შეეხებათ საქართველოში რეგისტრირებულ გარემოსდაცვით/ნარჩენების მართვის პროფილის მქონე კონტრაქტორებს ან ერთობლივ საწარმოებს, რომლის ერთ-ერთი პარტნიორი არის საქართველოში რეგისტრირებული კომპანია, ინდუსტრიასთან დაკავშირებულ მოცემულ სფეროში საქმიანობის მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილებით.

წინასაკვალიფიკაციო პროცესში მონაწილეობის მისაღებად ასევე მოწვეული არიან განვითარების ფაზის ქვეკონტრაქტორები, რომელიც შეიძლება იყოს მშენებელი კონტრაქტორი, რომელსაც ბოლო პერიოდში შესრულებული აქვს მიწის, საინჟინრო-სამშენებლო, ან გარემოსდაცვითი-საინჟინრო სამუშაოები და რომელსაც შეეძლება წარმოადგინოს 500000 აშშ დოლარის და მეტი ღირებულების კონტრაქტების წარმატებით დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დაინტერესებულ მხარეებს წინასაკვალიფიკაციო დოკუმენტების პაკეტის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე, სამუშაო საათებში, ოთხშაბათიდან, 19 ნოემბრის დილის 9 საათიდან, პარასკევამდე, 21 ნოემბრის 18 საათამდე. დოკუმენტების მიღება შეიძლება დაცვის სამსახურის მაგიდასთან შენობის მისაღებში.

**მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქ. № 38, კომპანია BP-ს პროექტის ოფისი.**


გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ორშაბათი
17 ნოემბერი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "პრინცესა ნერი" 10.10 სერიალი **"ფორსაიტების საგა"** 11.25 დოკ. სერიალი "ცხოველთა სტრატეგია" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"კორდიეების ოჯახი"** 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. ფილმი "ლ. ბოდარი" 15.15 მხ. ფილმი **"კიკუჯირო"** 17.15 რამპა 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.25 ტელესერიალი **"კორდიეების ოჯახი"** 19.15 მრავალჟამიერ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.30 "იმღერე რამე" 21.35 კრიმინალური ქრონიკა 21.45 "სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" 22.30 რა ხდება 00.00 მხ. ფილმი **"სანუკვარი ოცნებები"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 კინოსეანსი **"ამფეთქებელი"** 21.00 ვმესტე 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.10 მხ. ფილმი **"ტუვალუ"**

07.00 დილა მშვიდობისა 07.10 სერიალი "ჯადოქარი" 09.40 სერიალი **"ასულ ტეკილა"** 10.20 დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" 11.00 ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"სასტიკი ანგელოზი"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.30 სერიალი **"ასულ ტეკილა"** 17.30 სერიალი "ჯადოქარი" 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.20 ჩვენი ეზო 18.30 სერიალი "ჯადოქარი" 19.00 სერიალი **"მაშველები"** 19.45 სერიალი **"სასტიკი ანგელოზი"** 22.00 სერიალი **"ჯაშუში"** 22.50 ღამის კურიერი 00.10 მხ. ფილმი **"ლეონი"**. მთ. რ-ში: ჟან რენო, ნატალი პორტმანი.

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა 08.30 მხ. ფილმი **"გრაფი მონტე – კრისტო"** 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10, 17.30 მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" 13.30 დოკ. ფილმი 14.10 დოკ. ფილმი 18.00, 20.00 დოკ. ფილმი 19.45 მუსიკა 20.00 ბურთი და მოედანი 21.00 სერიალი **"საპაერო პოლიცია"** 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ.**"უსირცხვილო"**

07.00, 10.00, 11.00, 12.00 ქრონიკა 07.15, 09.10, 13.15, 16.45, 17.20, 00.55 იმედის მელოდიები 07.45 "იმედის"დილა 09.30 დროება 11.05 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" 12.10 სერიალი **"კლონი"** 13.00, 14.00, 15.45, 17.00, 18.00 ქრონიკა 13.30 სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** 14.05 სერიალი **"ნეშ ბრიჯისი"** 15.15 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. "დინამო" (თბილისი) -"თბილისი" (თბილისი) 17.25 რაგბის მს. ჩემპიონატის მიმოხილვა 18.05 სერიალი **"სიყვარული უდაბნოში"** 19.00, 21.00, 22.00, 00.40 ქრონიკა 19.30 სერიალი **"კლონი"** 1-ლი ს. 20.30 სერიალი **"ნეშ ბრიჯისი"** 21.30 სპორტ. პროგრამა "გოლი" 22.50 მხ. ფილმი **"ბორსალინო და კომპანია"**

09.00 საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) 10.00 სერიალი **"მარია ემილია"** 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "არგაი" 19.00 სერიალი **"მარია ემილია"** 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.45 მხ. ფილმი **"ბოცვერის მესერი"** 22.45 საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" 23.45 მხ. ფილმი **"ფართოდ დახუჭული თვალები"**

12.00 ინდური მხ. ფილმი **"ღმერთმა იცის"** 15.00 მხ. ფილმი 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ.ფილმი **"40 დღე და 40 ღამე"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"რაშია საქმე დოკ"** 22.30 გადაცემა "საქმე და ეკონომიკა" 23.00 დოკ. ფილმი

10.30, 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 ვარსკვლავები გვამცნობენ 13.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 14.00, 23.00 სერიალი **"ყავახანა"** 14.15 დოკ. ფილმი 14.30 მუსიკალური კოლაჟი 19.30 ექსტრაორდინალური 21.00 სერიალი **"ბეჭედი"** 21.40 ტალანტები და თაყვანისმცემლები 22.40 პირველი ნაბიჯები 23.15 ინდური მხ. ფილმი **"სახიფათო თამაში"**

